ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი-კვირა

## „ახალი თაობა“+ ჩარლი ჩაპლინი 8 ლარი 11 ოქტომბრიდან




15 — 16 ოქტომბერი, 2011

№245 (5625)

ფასი: 30 თეთრი



გვ.4

# „ბიძინა ივანიშვილი უკან არავითარ შემთხვევაში არ დაიხევს“

რაზე ესაუბრა ბიზნესმენი რესპუბლიკელებს



## სააკაშვილს ამერიკელი ჟურნალისტების მოსყიდვაში ადანაშაულებენ

გვ.2

ჟურნალისტური გამოძიების სკანდალური შედეგები



გვ.5

## გუგული მაღრაძე: „ცრუ ოპოზიცია უნდა ვამხილოთ!“

## ალეკო შალამბერიძე: „ომის ვეტერანებს სამსახურიდან ათავისუფლებენ“

გვ.3





გვ.3

## კალაძე ივანიშვილთან ერთიანდება

## თედეევი კოკოითის კრემლში დაასმენს

გვ.3



## ინციდენტი ზემო ალვანში

თუშებმა სამინისტროს წარმომადგენლები სოფლიდან გაყარეს

გვ.2



## ანი სირაძე: „გაიგეთ ხალხო, ფეხმძიმედ არ ვარ!“

გვ.6



ISSN 1987-9385

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სააკაშვილს ამერიკელი ჟურნალისტების მოსყიდვაში ადანაშაულებენ

## ჟურნალისტური გამოძიების სკანდალური შედეგები

შალვა ჯოხაძე

„საქართველოს მთავრობასა და შპს „ორიონ სტრატეჯის“ შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებათა პირობების უზრუნველსაყოფად ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუყოს 400 000 (ოთხასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარობით“, – მთავრობის ასეთი ტიპის განკარგულებები რამდენიც გინდათ, იმდენი მტკიცდება სახელმწიფო კანცელარიაში. თანხებს რაც შეეხება, არც აქ არის რაიმე შეზღუდვა, ჩვენს ხელისუფლებას საკუთარი თავის გასაპიარებლად თანხა არასოდეს ენანება. დიახ, გასაპიარებლად, რადგანაც „ორიონ სტრატეჯი“ ცნობილი ლობისტური ფირმაა. ახლახან, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა და გამოქვეყნდა ჟურნალისტური გამოძიება, რომლითაც დასტურდება, რომ ამ ფირმის მეშვეობით სააკაშვილიის ხელისუფლება ვაშინგტონელ ჟურნალისტებს შეკვეთილ სტატიებს აწერინებს.

ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენი ხელისუფლება საკუთარი თავის გასაპიარებლად ათასგვარ ხერხს მიმართავს. ირკვევა, რომ ასე არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში იქცევა, არამედ დასავლეთშიც, რომლის წინაშეც გამუდმებით თავს იწონებს და დემოკრატიულობის იმიჯს იქმნის. თუ რა წარმოდგენა ექნებათ ადგილობრივ პოლიტიკოსებს ჩვენს ხელისუფლებაზე და ამერიკული გავლენიანი გაზეთების კეთილგანწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს მიხეილ სააკაშვილისთვის კარგადაა ცნობილი. ამიტომაცაა, რომ ისეთი გავლენიანი გაზეთების ჟურნალისტების მოსყიდვაზეც არ ამბობს უარს, როგორიც „ვაშინგტონ პოსტი“ და „ვაშინგტონ თაიმსია“.

ამერიკელმა პუბლიცისტმა და რამდენიმე წიგნის ავტორმა კენ სილვერსტაიანმა თავისი ჟურნალისტური გამოძიებისას საინტერესო სქემას ახადა ფარდა. აღსანიშნავია, რომ სილვერსტაინის წიგნები სწორედ პრესისა და ლობისტების ურთიერთობებს ეხება.

ბოლო ჟურნალისტურ გამოძიებაში სილვერსიანმა დეტალურად აღწერა, თუ როგორ გადაიბირა ვაშინგტონელი ჟურნალისტები ქართველების მიერ დაქირავებულმა ლობისტურმა ფირმამ „ორიონ სტრატეჯისმა“.

„ორიონ სტრატეჯისი“ ორგანიზებას უწევს ჟურნალისტების ექსკლუზიურ შეხვედრებს ქართველ ჩინოვნიკებთან, თვით მიხეილ სააკაშვილთანაც კი. ეს ფირმა ანაზღაურებს მათ ვიზიტებს საქართველოში, გამუდმებით ეპატიჟება მათ მეგობრულ ატმოსფეროში დროის გასატარებლად. ასე-



თი ტიპის შეხვედრები ვაშინგტონის საკმაოდ ძვირადღირებულ რესტორნებში იმართება და მასში ჟურნალისტებთან ერთად ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებიც იღებენ მონაწილეობას.

სილვერსტაინი განმარტავს, რომ „ორიონი“ რენდი შეინემანის ფირმაა, რომელიც დონალდ რამსფელდისა და ჯონ მაკკეინის ყოფილი მრჩეველია. ეს ადამიანი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკის სხვა მაღალჩინოსნებთანაც.

პრესასთან უშუალო კონტაქტს მაკკეინის წინასაარჩევნო შტაბის ყოფილი ოფიციალური წარმომადგენელი მაიკლ გოლდფარბი აწარმოებს. ის ჟურნალისტებს აკავშირებს სახელმწიფო ჩინოვნიკებთან, რომელთაც მედიის ეს წარმომადგენლები საკუთარ წყაროებად მოიხსენიებენ. ცხადია, ეს პოლიტიკოსებიც „ორიონთან“ თანამშრომლობენ და ამ შემთხვევაში, საქართველოსთან მიმართებაში დადებით განწყობებს ამჟღავნებენ. ასეთ შემთხვევაში როგორ იქცევიან სააკაშვილი, მისი მთავრობა და სახელისუფლებო ტელეარხები? სასურველი პუბლიკაციის გამოქვეყნებისთანავე, ქართველი პოლიტიკოსები ამ სტატიას აიტაცებენ ხოლმე და ტელეეთერში ყურებს გვიჭედავენ სტატიიდან ციტატების მოშველიებით.

როგორც ხედავთ, ლობისტებისათვის გადახდილი ფული ფუჭად არ იყრება, სააკაშვილი ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავს – საკუთარ ხალხსაც კვებავს სიცრუით და იმ მკითხველსაც, რომელიც გავლენიანი გაზეთების სტატიებს ორიგინალში ეცნობა.

„დაკვეთილი სტატიები შეიცავს არა მარტო საქართველოს მხარდამჭერ შინაარსს, არამედ ანტირუსულ განწყობასაც. უარყოფით კონტექსტში ექცევა ამერიკა-რუსეთის გადატვირთვის პოლიტიკაც... არ ვამტკიცებ, რომ ჟურნალისტები, რომლებიც „ორიონთან“ თანამშრომლობენ, მხოლოდ იმას წერენ, რასაც თავად არ ეთანხმებიან. არც იმას ვამბობ, რომ გოლდფარბმა ისინი იყიდა, მაგრამ იმ ჟურნალისტებს, ვინც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და ანალიზს ამზადებს, მეტი პრინციპულობა მოეთხოვებათ“, – აღნიშნულია ჟურნალისტურ გამოძიებაში.

სილვერსტაინის წერილზე კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის, ალექსანდრ კულის კომენტარი ქვეყნდება. სწორედ მას ეკუთნვის ნაშრომი „აშშ-ის ახალი სტრატეგია საქართველოში აგვისტოს ომის შემდეგ“. ექსპერტის განცხადებით, პროქართული ლობისტური კომპანია აშშ-ში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წლის გაზაფხულიდან გაჩაღდა.

„ლობიზმში საოცარი არაფერია, აშშ-ში ბევრი ქვეყანას ჰყავს მსგავსი ლობისტური კომპანიები, უცნაური ის არის, რომ თბილისი, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პოლიტიკურ წრეებთან კარგი ურთიერთობა აქვს, თანამშრომლობს მხოლოდ ერთ კონკრეტულ იდეოლოგიურ ჯგუფთან – ნეოკონსერვატორებთან.

საინტერესო ისაა, რომ საქართველოს ხელისუფლება და ამერიკელი ნეოკონსერვატორები ერთსა და იმავე იდეოლოგიას იზიარებენ, ანუ საქართველო წარმატებით აღმოჩნდა ჩართული ფართო იდეოლოგიურ პროექტში“, – ამბობს კული.

მისივე თქმით, დაკვეთილ სტატიებში ქართული მხარე თავს „საფრთხის ქვეშ მყოფ დემოკრატიად“ ასაღებს, მაგრამ აშშ-ში ამის უკვე აღარავის სჯერა.

„ბევრი ორგანიზაციისა და ექსპერტის შეფასებით, ეს ნახევრად ავტორიტარული სახელმწიფოა. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ბიზნესმენის ირგვლივ ატეხილი სკანდალიც, რომელსაც პოლიტიკური განცხადებების გამო ხელისუფლებამ მოქალაქეობა ჩამოართვა“, – აცხადებს ექსპერტი.

# ინციდენტი ზემო ალვანში

## თუშებმა სამინისტროს წარმომადგენლები სოფლიდან გაყარეს

ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მოსახლეობა სოფლის საძოვრების გასხვისებას აპროტესტებს. ზემო ალვანში თუშები ცხოვრობენ. მოსახლეობის უმრავლესობა მესაქონლეობას მისდევს. თუშებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის კორპორაციის წარმომადგენლებს საძოვრების მოხვნის გაგრძელების უფლება აღარ მისცეს და ისინი სოფლიდან გაყარეს.

ზემო ალვანში 10 ჰექტარი საძოვარი უკვე მოხნულია. სამუშაოებს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“ ატარებს. კორპორაციის წარმომადგენლების თქმით, საძოვრის ტერიტორიაზე ფრანგული ჯიშის კაკლის ხეები უნდა დარგან.



– ვენახი ჩვენ არ გვაქვს, ტყე ჩვენ არ გვაქვს, რომ პარკეტი დავამზადოთ. 5 000 კაციანი სოფელი ამ 500 ჰექტარ საძოვარს ვართ მიჩერებული. საქმის კურსში არავინ ჩააყენეს. შემთხვევით გავიგეთ, რომ საძოვრები გაასხვისეს. დოკუმენტი გვინდა, ვისია, ვინ შეისყიდა? საძოვრები აქამდე არც იჯარით გაცემას ექვემდებარებოდა და არც პრივატიზაციას, ახლა რა მოხდა, ვერ გავიგეთ, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ზემო ალვანის მაცხოვრებელმა ზაზა ლაგაზიძემ.

– ჩვენი შემოსავლის წყარო საქონელია. საქონლის გარეშე ვერ ვიარსებებთ. ეს ტერიტორია რომ ჩამოგვართვან, საქონელი სად გავიყვანოთ? გაჭირვება გვაკლია? ხელ-ფეხს უფრო გვიკრავენ. ჩვენ საქონლით ვცხოვრობთ. არ გვინდა ამათი კაკალი. ხალხს რა უნდა, თვითონ იცის. დღეს გავყარეთ და აღარც მოვუშვებთ, – აღნიშნა სოფლის მკვიდრმა ლამარა წკიპოშვილმა.

ზემო ალვანის მაჟორიტარი დეპუტატის ბესიკ ყიზილაშვილის თქმით, სოფელს საკმარისი საძოვარი ისედაც არ აქვს. „ეს საძოვარი სახელმწიფო ტერიტორიაა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროექტს ახორციელებს. სხვადასხვა ჯიშის კაკლის ნერგი უნდა დაირგოს. რომელიც უკეთესი აღმოჩნდება, იმის გაშენება მოხდება. სხვა ინფორმაცია მე არ მაქვს. 5000 კომლიანი სოფელია და ისედაც საძოვრის ნაკლებობას განიცდის.

***– თუ ასეა, რატომ იხვნება საძოვრები, ხალხმა რა უნდა ქნას?***

– ეხლა, ასეთი... გაკეთდება ახლა... როგორ იქნება არვიცი. გადაუწყვეტელი არაფერია. გადაწყდება, ალბათ, როგორც მოსახლეობისთვის იქნება საჭირო“.

„საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ წარმომადგენელმა ოთარ ქურდიანმა განმარტა, რომ საძოვარი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკუთრებაში გადასცა. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა მაისურაძე ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

– ჩვენ საძოვარი სამინისტროსთვის არ გადაგვიცია. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კაკლის მეურნეობის გასაკეთებლად რამდენიმე ადგილი შეარჩია. ერთ – ერთი ეს ადგილია. ჩვენ საძოვრის გადაცემის უფლებამოსილება არ გვაქვს, რადგან ეს ნაკვეთი ისედაც სახელმწიფო საკუთრებაა. გლეხებს საძოვრის გარეშე ცხოვრება გაუჭირდებათ, – განაცხადა კობა მაისურაძემ.

ზემო ალვანის მაცხოვრებლებმა კახეთის გუბერნატორის სახელზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. ისინი საძოვრების დაბრუნებას ითხოვენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი



# ალექსანდრე ანქვაბმა რამდენიმე თანამდებობის პირი გაათავისუფლა

აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის ხელმძღვანელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, – ამის შესახებ სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება.

აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა ე.წ. სახელმწიფო ტელერადიოკომპანიის თავმჯდომარეობიდან გურამ ამკუაბი გაათავისუფლა. მოვალეობების შესრულება მის მოადგილეს, მირონ კვარაცხელიას დაეკისრა.

ანქვაბმა კიდევ რამდენიმე თანამდებობის პირი მოხსნა – სახელმწიფო აგარაკების სამმართველოს უფროსი – ვალერი არშბა და ე.წ. პრეზიდენტის სახელმწიფო პროტოკოლის სამმართველოს უფროსი ალიკ ლოგუა.

ინტერპრესნიუსი

# ლევან ვეფხვაძე: პოლიტიკურ ასპარეზზე ივანიშვილის გამოსვლით, ხელისუფლებაში არსებული ყველაზე გაბუტული მხარეებიც კი შერიგდებიან



„ქრისტიან-დემოკრატი“ ლევან ვეფხვაძე დარწმუნებულია, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის გამოსვლით, ხელისუფლებაში არსებული ყველაზე გაბუტული მხარეებიც კი შერიგდებიან. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ლევან ვეფხვაძემ განუცხადა, აქამდეც, „გარე საფრთხის“ გამოჩენა ხელისუფლებაში შიდაკონსოლიდაციას ყოველთვის იწვევდა. ლევან ვეფხვაძე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებისას ხელისუფლებაში შიდა გარჩევების დაწყებას ელოდა.

– ხელისუფლების დაყოფა რეალისტური იყო. ბიძინა ივანიშვილი რომ არ შემოსულიყო, სულ სხვა სიტუაცია და სხვა პოლუსები იქნებოდა, – განაცხადა ვეფხვაძემ და დასძინა, რომ პოლიტიკურ არენაზე ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა არათუ ხელისუფლების შიგნით დაპირისპირებას გააღრმავებს, არამედ „გარე საფრთხის“ წინააღმდეგ ყველაზე გაბუტული მხარეებიც კი შეკავშირდებიან.

ინტერპრესნიუსი

# ყვარელში ავტოავარიის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა

ყვარლის რაიონში ავტოსაგზაო შემთხვევას 5 ადამიანი ემსხვერპლა. ამის შესახებ „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ იუწყება. შემთხვევაგვიან ღამით მოხდა.

ყვარლის ტბიდან დიდი სისწრაფით მიმავალი ავტომანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

შეჯახების შედეგად მანქანაში მყოფი ხუთივე ადამიანი დაიღუპა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალეკო შალამბერიძე: „ომის ვეტერანებს სამსახურიდან ათავისუფლებენ“

თეა მარხვაიძე

ხელისუფლება ომის ვეტერანებს, რომ არ სწყალობს ყველამ კარგად იცის. ამასთან დაკავშირებით ოპოზიციამ ბევრჯერ გამოთქვა პროტესტი. ხელისუფლების ყურადღების მიპყრობა ვეტერანებმა შიმშილობის აქციით სცადეს. სამართალდამცავებმა ეს აქცია სასტიკად დაარბიეს. რამაც



თვით ჯონ ბასიც კი აღაშფოთა.

ხელისუფლება ვეტერანების მიმართ ხაზგასმულ გულგრილობას იჩენს. მათი უფლებები, რაც დრო გადის, მით უფრო უარესდება. როგორც სჩანს ხელისუფლება ამით არ დაკმაყოფილდა და ახლა იმ ვეტერანებს დაერია, რომლებიც ჯერ ისევ მსახურობდნენ სამხედრო უწყებაში.

გავრცელებული ცნობით, სამხედრო უწყებიდან ასზე მეტი ვეტერანი გაათავისუფლეს.

„ვეტერანთა უფლებების დაცვის კავშირი – ვეტერანები ვეტერანებისათვის'' და ,,თავისუფალ ასოციაციათა კავშირი'' ომის ვეტერანების სამსახურებიდან უკანონოდ განთავისუფლებას აპროტესტებენ.

როგორც პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე ,,თავისუფალ ასოციაციათა კავშირის'' თავმჯდომარე ალეკო შალამბერიძემ განაცხადა, 12 ოქტომბერს ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების კიდევ ერთი ნაკადი წავიდა და საქართველომ ავღანეთში უსაფრთხოების მხარდამჭერ ძალებში ავსტრალიასაც გაუსწრო, რომელსაც იქ 1550 ჯარისკაცი ჰყავს.

მისი თქმით, ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც თავდაცვის სამინისტროდან მიმდინარეობს ომის ვეტერანების გამოყრა.

შალამბერიძის ინფორმაციით, 7 ოქტომბერს, როდესაც თბილისში საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი იმყოფებოდა, თავდაცვის სამინისტროდან 150 ომის ვეტერანი გაათავისუფლეს.

– ეს პოლიტიკა, რომელიც არის თავის მოწონების პოლიტიკა, ემსახურება იმას, რომ სააკაშვილმა გაიმყაროს თავისი სკამი და არანაირად არ ემსახურება ქართველთა ინტერესებს და ქართული ჯარის გაძლიერებას, – განაცხადა შალამბერიძემ და დასძინა, რომ უნდა შეწყდეს ავღანეთში კონტინგენტის გაზრდა და ამასთან, ის ადამიანები, რომლებიც უკანონოდ გაათავისუფლეს აღადგინონ თანამდებობაზე.

,,ვეტერანთა უფლებების დაცვის კავშირი – ვეტერანები ვეტერანებისათვის'' წარმომადგენელის გალინა ოზიაშვილის ვარაუდით, ვეტერანების დათხოვნა სახელმწიფოს მზაკვრული ჩანაფიქრია, რომელიც საპენსიო ანაზღაურების გაცემისაგან თავის არიდებას უკავშირდება.

– მთავარი მიზეზი არის ის, რომ ამ ადამიანებს თავის დროზე კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ჰქონდათ გავლილი რუსეთის გენშტაბის აკადემიაში. ვინც კი იყო აკადემიაში, ყველა გამოყარეს, მაგრამ დაავიწყდათ გენშტაბის უფროსი დევი ჭანკვეტაძე, – განაცხადა ოზიაშვილმა.

ცნობისთვის: საქართველოს კანონმდებლობით, თუ ომის ვეტერანს სისხლის სამართლის დანაშაული არ აქვს ჩადენილი, საპენსიო ასაკამდე მისი სამსახურიდან გათავისუფლება აკრძალულია. სამხედრო პირს პენსია ჯარში 25-წლიანი მსახურობის შემდეგ ენიშნება.

სხვათა შორის ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა თავდაცვის სამინისტროდან სამხედროებს რუსეთში მიღებული განათლების საბაბით ათავისუფლებენ. ამ ტრადიციას საფუძველი გია ბარამიძემ ჩაუყარა. რომელიც ოდესღაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყო.

მისი გადაწყვეტილებით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს გენშტაბის მაშინდელი უფროსი გივი იუკურიძე. და მხოლოდ იმის გამო რომ მას სამხედრო განათლება მოსკოვში ჰქონდა მიღებული.

# კალაძე ივანიშვილთან ერთიანდება

თეა მარხვაიძე

ნაციონალებს ერვნული ნაკრების კაპიტანმა კახი კალაძემ უსიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა. მიშას ფანებს კაპიტანის ეს განცხადება უფრო ეწყინათ, ვიდრე მის მიერ საკუთარ კარში გატანილი 2 გოლი.

როგორც კი ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლაზე განცხადება გააკეთა, ეგრევე მის შესაძლო პოლიტიკურ პარტნიორებზე დაიწყეს საუბარი. ითქვა, რომ მასთან აუცილებლად ითანამშრომლებდა კახი კალაძე.



რამდენიმე დღის წინ კაპიტანმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. 14 ოქტომბერს კი კალაძემ თავისი განცხადება სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ თავის ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა. სადაც აცხადებს, რომ ივანიშვილს მხარდაჭერას უცხადებს. განცხადების ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

– ძვირფასო მეგობრებო, დებო და ძმებო, როგორც თქვენმა თანამემამულემ, საჭიროდ ჩავთვალე, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმძიმეს დროს გამეკეთებინა განცხადება. მართალია სპორტსმენი და აპოლიტიკური ადამიანი ვარ, არ ვეკუთვნი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას თუ გაერთიანებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ დავაფიქსირო ჩემი აზრი და არ გამოვხატო ჩემი შეხედულება, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ჩემს სამშობლოს, რომელიც გზაგასაყარზე დგას, დანაწილებულ-დაქუცმაცებული, გავერანებული და გაპარტახებული. სულის შემძვრელია, როდესაც საქართველოს ქალაქების ქუჩებში უყურებ დანაღვლიანებულ-დამწუხრებულ სახეებს. საქართველოს მოქალაქეებს წაართვეს ღიმილი, სიცილი, ბედნიერების შეგრძნება. ადამიანებს დამამცირებლად წაგლიჯეს შრომის, განათლების და კერძო საკუთრების უფლებები. ციხე-კოლონიები სავსეა პატიმრებით, რომელთა გარკვეული კონტინგენტი ციხეში მხოლოდ იმიტომ ზის, რომ მმართველი რეჟიმის ზოგიერთ წარმომადგენელს ასე სურს. ყოველივე ეს ერთ დღეში არ წაურთმევიათ, ადამიანთა ერთმა ჯგუფმა უკვე წლებია, რაც გადაწყვიტა ხელოვნურად შეექმნა ქართველთა ახალი სახე, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება კარგი გაგებით ტრადიციული ქართველისაგან და საქართველოს მოქალაქისაგან. გათელილი და დაკნინებულია თითქმის ყველა ტრადიციული დღესასწაული თუ საზოგადოებისათვის საყვარელი ადამიანი, ხოლო მათი ჩანაცვლება ხდება ერთსახოვანი, ყალბი გმირებით და თითიდან გამოწოვილი, ილუზიური დღესასწაულებით.

შენდება ერთჯერადი „პოტიომკინის“ სოფლები და ქალაქები. ჩემი წერილის დასაწყისშიც მოგახსენეთ, რომ ეს არ არის პოლიტიკური განცხადება, რადგან არა ვარ პოლიტიკოსი. ეს არის მოქალაქეობრივი ვალი და თვალთახედვა, რაც მე გამაჩნია ქვეყანაში მომხდარ მოვლენებზე. თვალი არასოდეს დამიხუჭავს სიმართლისათვის და სათქმელი ყოველთვის ხმამაღლა მითქვამს. მართალია, ჩვენს მოქალაქეებს იძულებით, შიშითა და შანტაჟით ყველაფერი წაართვეს, რისი წართმევაც შეეძლოთ, მაგრამ ვერ წაგვართვეს ღირსება! ეს არ არის შაბლონური და ტრაფარეტული ფრაზები, ყელში სისხლი მაწვება, როდესაც სამშობლო ასეთ გასაჭირშია და შველას ითხოვს.

მივმართავ ყველას და განსაკუთრებით ჩვენს ძვირფას თანატოლებს, ახალგაზრდობას, სტუდენტებს, – მეგობრებო, როდესაც ასეთი მძიმე წუთებია ერისთვის, მამულისთვის, სარწმუნოებისათვის, გავაღვიძოთ ჩვენში წინაპართა სისხლი, ხმამაღლა და ერთად გამოვთქვათ საყოველთაო პროტესტი ადამიანთა ჩაგვრისა და დამამცირებელ სიტუაციაში ჩაყენებისათვის. ახალგაზრდობა დიდი ძალა ვართ, გვერდით დავუდგეთ ჩვენს მშობლებს და ერთად ბევრს მივაღწევთ. წავიკითხე ცნობილი ბიზნესმენის და მეცენატის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის განცხადება. პირადად არ ვიცნობ ბატონ ბიძინას, მაგრამ აღნიშნულ წერილში არის ისეთი ფრაზები, რომელმაც არ შეიძლება, რომ საქართველოს მოქალაქეები არ დააფიქროს. მთელ რიგ საკითხებში ჩვენი ხედვა სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე ერთნაირია.

ბატონო ბიძინა, მიიღეთ ჩემი მეგობრულად გამოწვდილი ხელი და როგორც ერთი რიგითი ქართველი, მიგულეთ თქვენ გვერდით. მჯერა, დღეს ერთი ვარ, მაგრამ ხვალ უკვე ათასობით თქვენ გვერდით მყოფი იქნება, ზეგ კიდევ მეტი... ღმერთმა დაიცვას და გააბრწყინოს სრულიად საქართველო.

როგორც თავში უკვე აღვნიშნეთ, ნაციონალებს მისი ეს განცხადება ძალიან არ მოეწონათ. ახლა ნაცები თავიანთ ანც ოპოზიციონერებთან ერთად კალაძის გადაწყვეტილებაზე ქირქილებენ. არადა, არც ერთი მათგანი უარს არ იტყოდა ნაკრების კაპიტანი მათი მხარდამჭერი რომ ყოფილიყო.

ნაციონალებს შეიძლება დაავიწყდათ, მაგრამ ყველას გვახსოვს, რა კარგი ურთიერთობა ჰქონდათ მათ კალაძესთან. ისიც გვახსოვს იმ პერიოდში მილანისთვის მხარდაჭერა ლამის სავალდებულო გახდა. ნაკრების კაპიტანი იმ პერიოდში იტალიური მილანის ღირსებას იცავდა.

ისიც კარგად გვახსოვს, რა თავგამოდებით აქებდა კალაძე სააკაშვილს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სააკაშვილი ოპოზიციაში იყო.

მერე მათი გზებიც გაიყარა. ბოლომდე არავინ იცის, რა ვერ გაიყვეს ნაციონალებმა და კაპიტანმა. და ადრე თუ რაღაცები აყიდინეს ახლა ყველაფრის წართმევით ემუქრებიან. ოპოზიცია არ გამორიცხავს, რომ კალაძე შეიძლება დააკავონ კიდევაც.

საქართველოში თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ გიორგი დემეტრაძე მასზე შურის საძიებლად დააკავეს. კაპიტანმა მისი გათავისუფლება რამდენჯერმე მოითხოვა. საგანგებო განცხადებაც გააკეთა. სამწუხაროდ, მისი მოწოდება ნაკრების სხვა მოთამაშეებმა არ გაიზიარეს.

ოპოზიცია არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლებამ კალაძის წინააღმდეგ შავი პიარი ააგოროს. ივანიშვილისგან განსხვავებით მასზე ვერ იტყვიან, რომ ფული რუსეთში იშოვა.

სამაგიეროდ იმას უკვე ამბობენ, რომ ფეხბურთელს პოლიტიკაში არაფერი ესაქმება. შეიძლება ეს მართალია. მაგრამ შტანგისტს დარჩა რამე პოლიტიკაში? ან იქნებ ისა თქვან, რომ გიორგი ასანიძე სანამ შტანგად დაეზიდებოდა პოლიტიკური მეცნიერებით იყო გატაცებული.

ამ ლოგიკით არც კახა გეწაძეს ესაქმება, რამე პოლიტიკაში და პარლამენტში. გეწაძე მართალია მთლად საშკა კარეკინი არაა, მაგრამ მაინც მოჭიდავეა.

რაკი სპორტი და პოლიტიკა ვახსენეთ, ისიც აგვიხსნან, რატომ არის ყველა სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი ნაციონალი.

გახსოვთ, ალბათ, ცხონებული პატარკაციშვილი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი რომ იყო. როცა მისი გადაყენება მოინდომეს, ერთი რკინისებური არგუმენტი წამოაყენეს. პეტრე ცისკარიშვილმა თქვა, ოლომპიური კომიტეტის თავკაცი ოლიმპიური ჩემპიონი თუ არა, პრიზიორი მაინც უნდა იყოსო.

დღეს ოლიმპიურ კომიტეტს სათავეში გია ნაცვლიშვილი უდგას. რომელიც არც ერთია და არც მეორე. მაგრამ პრეზიდენტად აირჩიეს, უფრო ზუსტად დანიშნეს. ის ხომ ნაციონალური მოძრაობის აქტიური წევრი იყო.

# თედეევი კოკოითის კრემლში დაასმენს

თეა მარხვაიძე

**ცხინვალში პოლიტიკური ვნებათაღელვა ჩაცხრა. დაპირისპირების ბოლო რაუნდი, რომელიც აგვისტოს მიწურულს დაიწყო, 13 ოქტომბერს დროებით დასრულდა. ამ დაპირისპირებაში გამარჯვება დროებით კოკოითის დარჩა. მისმა მეტოქემ და რისხვამ ძამბოლატ თედეევმა ცხინვალი მომხრეებთან ერთად დატოვა.**

ამასთან დაკავშირებით კოკოითის პრესსამსახურმა საგანგებო ინფორმაცია გაავრცელა. რომლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თედეევი ცხინვალიდან გააძევეს. და ამაში კოკოითის ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიის პრეზიდენტი თეიმურაზ მამსუროვი დაეხმარა.

საერთოდ ეს კაცი ბოლო დროს უცნაურად იქცევა. როცა თედეევი ცესკომ რეგისტრაციაში არ გაატარა ამის გამო მთელი ვლადიკავკაზი საპროტესტოდ ცხინვალში გაიქცა. მამსუროვი გამოვიდა და თქვა, რომ კოკოითიმ იხუმრა. კოკოითის შეიძლება ხუმრობა უყვარს, მაგრამ თედეევს არა. და ამის გამო მამსუროვს ის ალბათ ერთიორ კითხვას დაუსვამს. კითხვები სხვა თემაზეც ექნება. ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

თედეევის ცხინვალიდან გაძევებასთან დაკავშირებით მისმა მხარდამჭერებმა სულ სხვა ინფორმაცია გაავრცელეს. საიტ „უასამონგას“ ცნობით, ოპოზიციის ლიდერი ცხინვალიდან ნებითა თვისითა წავიდა.

– ძამბოლატ თედეევთან დაკავშირებით კოკოითის გარემოცვა ბინძურ ჭორებს ავრცელებს. დაწერეს რომ ის გააძეცეს ცხინვალიდან. რაც სიმართლეს არ შეეფერება. მან თავის მომხრეებთან ერთად საკუთარი ნებით დატოვა ცხინვალი. ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც უზენაესმა სასამართლომ მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა, – იუწყება ოპოზიციური პორტალი.

„უასამონგას“ ინფორმაციით, თედეევი ცხინვალიდან პირადმა დაცვამ გაიყვანა. ამ დროს მასთან ერთად იმყოფებოდნენ გენერალი ბარანკევიჩი და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ბესიკ კუდუხოვი. რომელიც მთელი ამ დღეების განმავლობაში კაცურად ედგა გვერდში თავის მწვრთნელსა და მეგობარს.

თედეევის გაძევების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს გენერალი ბარანკევიჩიც. რომელიც მიიჩნევს, რომ კოკოითის წინააღმდეგ ბრძოლა არ დასრულებულა.

ცხინვალიდან გაძევებულებმა თუ წასულებმა ერთი დღე ვლადიკავკაზში გაატარეს. 14 ოქტომბერს კი თედეევი მოსკოვში გაფრინდა.

– მოსკოვში ის რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს ნარიშკინს შეხვდება. რომელსაც სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებაზე ესაუბრება, – იუწყება ოპოზიციური პორტალი.

ნარიშკინს თედეევი რამდენიმე თვის წინაც შეხვდა. და მაშინ ოპტიმისტურად იყო განწყობილი. როგორც თავად თქვა კრემლში გამართული კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტა საარჩევნო მარათონში ჩართვა.

ცნობისათვის, მის მომხრეებს 16 ოქტომბერს ვლადიკავკაზში დიდი აქცია უნდა მოეწყოთ. გუშინ თედეევმა ამზეც უარი თქვა.

– აქციის ჩატარებაზე სანქცია არ გაიცა. თედეევი კი ვითარების დაძაბვას მოერიდა, – ამბობენ ოპოზიციონერის შტაბში.



# „ბიძინა ივანიშვილი უკან არავითარ შემთხვევაში არ დაიხევს“

**რაზე ესაუბრა ბიზნესმენი რესპუბლიკელებს**

ნათია ხურცილავა

**რესპუბლიკური პარტიის წევრი პაატა ზაქარეიშვილი ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე საუბრობს.**

***— ბატონო პაატა, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ? რა შეგიძლიათ მის შესახებ გვითხრათ?***

— დადებითი შთაბეჭდილება დამრჩა. არ ვიცნობდი ბატონ ბიძინას. არასდოს არ მყავდა ფიზიკურად ნანახი, ერთი-ორი სურათი თუ მქონდა ნანახი. ძალიან მწირი ინფორმაცია მქონდა. სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის მასთან შეხვედრა. მან თავის სიმპათიებს წერილში მოაყოლა წინადადებაც, რომ შევხვედროდით. ვინაიდან აღმოჩნდა, რომ მას ჩემი პოზიციები მოსწონს, იცის, რას ვწერ, როგორ, რატომ, ჩემთანაც მოინდომა შეხვედრა. რადგან ბატონი დავით უსუფაშვილი არ იმყოფებოდა თბილისში, როგორც წესი, ის უნდა შეხვედროდა, ამიტომ მე და დავით ბერძენიშვილი პარტიის პოლიტიკური მდივანი მივედით შესახვედრად. დამრჩა შთაბეჭდილება, მიუხედავად იმისა, რომ მას მოსწონს ჩემი პოზიციები და სიმპათიით არის განწყობილი, მას მიაჩნია, რომ ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება მის მიმართ, რომელიც დავწერე რამდენჯერმე ობიექტური და სწორი არ იყო. სხვათა შორის, ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა, მაგალითად, მახსოვს მაშინდელ თავდაცვის მინისტრზე დავით თევზაძეზე დავწერე კრიტიკული შენიშვნა და მან მთხოვა შეხვედა. ასევე ხაბუძანიამ, რომელიც უშიშროების მინისტრი იყო. ასევე ადეიშვილს ჰქონდა მცდელობები, რომ დავერწმუნებინე.

***— ზურაბ ადეიშვილს?***

— დიახ, როდესაც ჯერ კიდევ ცივილიზებული ურთიერთობები გვქონდა იმ პერიოდზე გეუბნებით. ამდენად, ჩემთვის გასაგებია, როდესაც ანალიტიკოსი ხარ და ადამიანი ცდილობს გულწრფელად აგიხსნას. ისეთი დახურული ადამიანი, როგორიც ივანიშვილია ცდილობს, რომ აგიხსნას მისი ქცევები, ამით კი არ არის განპირობებული, როგორც შენ ხედავ, არამედ სულ სხვა მიზეზებით, როგორც შენ ვერ ხედავ ამ დროს რასაკვირველია, მეტი ყურადღებაა საჭირო.

***— რა აგიხსნათ?***

— არაფერი, მან მითხრა, რომ ჩვენი გაცნობით მე სხვანაირად შევხედავ პროცესებს. მან მომცა საშუალება, რომ უფრო დაკვირვებული ვიყო მისი ამა თუ იმ ქცევის მიმართ. სანამ მე მას არ ვიცნობდი, მე ჩავთვალე, რომ მისი ეს განცხადებები უფრო შეიძლება სააკაშვილის პოლიტიკას ემსახურებოდეს. ეს იყო ჩემი პოზიცია, მაგრამ მასთან საუბარში მივხვდი, რომ ძალიან გულმხურვალედ და გულწრფელად აპირებს, ებრძოლოს სააკაშვილს.

***— ძალიან ბევრი მოსაზრება ვრცელდება, რადგან ის არ აპირებდა პოლიტიკაში ჩართვას და უცებ გავრცელდა მისი ასეთი სურვილი, რომ ეს არის რუსული პროექტი, რამ ამის უკან სააკაშვილი დგას, რომ მისი გულწრფელი გადაწყვეტილებაა. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

— დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის ცალსახად და მკაფიოდ ნებისმიერ პირობებში აპირებს, სააკაშვილის რეჟიმს შეებრძოლოს კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში. ამიტომ მან აირჩია სწორედ ის პარტიები — რესპუბლიკური პარტია და თავისუფალი დემოკრატები, რომლებიც ასე ფიქრობენ, რომ რაც უნდა მიულებელი და ამაზრზენი იყოს რეჟიმი, არ შეიძლება მას მისივე მეთოდებით უპასუხო, უკანონო მეთოდებით. მხოლოდ კანონის ფორმებით შეიძლება დაამარცხო ნებისმიერი უკანონო რეჟიმი. გარდა ამისა, რესპუბლიკური პარტია და თავისუფალი დემიკრატები გამოირჩევიან მეტი დემოკრატიულობით. პროდასავლური ღირებულებებით. ამ ღირებულებების მიმართ მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიციებით. ასევე რესპუბლიკურ პარტიასა და თავისუფალ დემოკრატებს სერიოზული და მკაფიო დისტანცირება აქვთ რუსეთის პოლიტიკასთან ერთის მხრივ და მიაჩნიათ, რომ არ შეიძლება ყველაფერში აჰყვე რუსეთს, მაგრამ მეორეს მხრივ მომხრეები არიან, რომ იყოს დიალოგი და რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებისკენ გადაიდგას ნაბიჯები და არა გალიზიანებისკენ, რასაც დღეს აკეთებს ხელისუფლება. ალბათ ეს კომპონენტები იყო მთავარი, როდესაც ის შეეცადა, რომ ამ პოლიტიკური პარტიებით გავიდეს გარკვეულ სიმაღლეზე. ის არ მალავს, რომ წარსულში ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა. ის არ ნანობს იმ ფულს, რაც დახარჯა, ის ნანობს, რომ ეს საქართველოს კი არ გამოადგა, პირიქით, დააზარალა, რის გამოც შინაგან პასუხისმგებლობას გრძნობს, რომ ხელისუფლებამ მისი სურვილი, რომ დახმარებოდა ქვეყანას, აქცია ქვეყნის საწინააღმდეგოდ. ეს თანხები, რაც ალბათ მიდიოდა ხელისუფლებამდე, ხელისუფლება ხარჯავდა არა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, არამედ თავის საკეთილდღეოდ სახელმწიფოს ხარჯზე. ეს კაცი აშკარა პატრიოტი ჩანს. აშკარად უყვარს თავისი სამშობლო და უნდა, რომ მისი რესურსები, მისი პოზიციები, შესაძლებლობები პირდაპირ დაახარჯოს სახელმწიფო ინტე-



რესებს და არა სააკაშვილის ამბიციებს თუ ხუშტურებს.

***— ბატონო პაატა, ივანიშვილის სიმპათიები ვანო მერაბიშვილისადმი გამოჩნდა, ამ საკითხზე სახელისუფლო პოზიციაა, რომ ივანიშვილი მერაბიშვილისა და სააკაშვილის დაპირისპირებას ცდილობს. ალბათ ისაუბრებდით ამ საკითხზე, იმ სამ ადამიანზე. მერაბიშვილის მიმართ მისი სიმპათიები გულწრფელია?***

— არა, ჩვენ არ გვიკითხავს მისთვის, მისი სიმპათიების შესახებ მერაბიშვილის მიმართ. ჩვენ პირდაპირ ვუთხარით, როგორც არ უნდა იყოს, ჩვენ არ გვაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება მერაბიშვილის მიმართ. ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. ამ შემთხვევაში ჩვენი, რესპუბლიკური პარტიის პოზიცია ხელისუფლების პოზიციას, გაგიკვირდებათ და, დაემთხვა.

***— რას გულისხმობთ?***

— ჩვენ, დარწმუნებული ვართ, რომ მერაბიშვილისა და სააკაშვილის ვერანაირი დაპირისპირება ვერ მოხდება. რადგან ერთი სანაგვე ყუთია. ერთი ბოროტებაა. ერთი იანუსია, ორსახიანი იანუსია მერაბიშვილი და სააკაშვილი. ამიტომ ნებისმიერი მცდელობა, რომ დავყოთ ისინი, მხოლოდ დროს დაგვაკარგვინებს და რაც მთავარია რესპუბლიკური პარტია არ მიიღებს ამაში მონაწილეობას.

***— ჰქონდა მას ამის მცდელობა?***

— ჩვენთან არა. ჩვენ პირდაპირ, როდესაც საუბარი დავიწყეთ და გარკვეული პოზიციები მოვხაზეთ, მკაფიოდ ვთქვით, რომ ჩვენზე ვერანაირი არგუმენტი ვერ იმოქმედებს მერაბიშვილის სასარგებლოდ. ეს არის ბოროტების ერთ-ერთი საყრდენი, რომელმაც შექმნა პოლიტიკური გესტაპოს ვერტიკალი, პოლიტიკური პოლიციისა, რომელიც განსაკუთრებით რეგიონებში ჩანს. სადაც ხალხის დატერორება ხდება, ვიცი, რაც ხდება სამეგრელოსა და იმერეთში. ხდება ადამიანების მიყურადება. შეუძლებელია, რაღაც ფორმით მერაბიშვილის გათეთრება. არ გვაინტერესებს არანაირი არგუმენტი და თავიდანვე ვამბობთ, რომ სადაც ჩვენ ვიქნებით, იქ ვერ იქნება მერაბიშვილი.

***— ბოკერიაც ამ სიაშია?***

— ბოკერიაც და სააკაშვილიც. ეს სამი გვარი გაჟღერდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვები არ შეიძლება იყვნენ ამ სიაში. ეს მაინც ბოროტების სამეულია. ასევე შეიძლება ითქვას უგულავაზე, ადეიშველზე, აღარ ვსაუბრობ რურუებზე, მაგრამ ის სამი ადამიანი აცოცხლებს ბოროტებას. ჩვენ არ ვართ მზად, რომ ჩვენი და მათი ყოფნა ერთად წარმოვიდგინოთ.

***— რატომ არ გამოდის ივანიშვილი საჯაროდ, თუ გქონდათ ამაზე საუბარი, რა უშლის მას ამაში ხელს?***

— მშვენივრად მეტყველებს, კარგად ლაპარაკობს. კარგად ხსნის თავის აზრს. წარმოიდგინეთ, მე რომ ადამიანი გამაჩუმებს. ის თავისი საუბრით ყოველთვის ცდილობდა, რომ ჩვენს საუბარში დომინანტი ყოფილიყო. ჩვენ სამნი ვიყავით. სხვა არავინ არ ესწრებოდა იმ შეხვედრას. მას მიჰყავდა საუბარი ძალიან ემოციურად, გულწრფელად, გულახდილად და თანმიმდევრულად. ასე რომ, საზოგადოების წინაშე გამოსვლისა და წარდგომის პრობლემა მას ნამდვილად არ ექნება.

***— მიზეზი რა არის, თქვენი აზრით?***

— არ ვიცი, ბიზნესმენები, როგორც წესი, ყოველთვის უფრო დახურულები არიან, უამრავი მთხოვნელი ჰყავთ, მაგრამ რადგან პოლიტიკაში მოდის, ბუნებრივია, ადრე თუ გვიან, მას მოუწევს საჯარო გამოსვლა. ახლა რეალობას სწავლობს. მიუხედავად იმისა, რომ მან ჩვენზე უფრო მეტი იცის, ვიდრე ჩვენ მასზე ტელევიზიის, გაზეთების საშუალებით, მიუხედავად ამისა, მას ჩვენი სიღრმისეულად გაცნობა სჭირდება. რა არის, რას წარმოადგენს ეს პარტია, რით ცხოვრობს, რა პრინციპებზეა დაფუძნებული, როგორია მისი დემოკრატიული მოწყობა შიგნით, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები. მას უფრო ჩვენი გაცნობა უნდოდა.

***— კითხვებზე თუ გიპასუხათ?***

— ცალსახად თანახმა იყო, რომ ნებისმიერ კითხვაზე გაეცა პასუხი. ჩვენ ბევრი კითხვა არ დაგვისვამს, თუმცა კითხვები ჩვენც გვქონდა და მასაც აქვს ჩვენ მიმართ, მაგრამ მთავარი იყო, რომ გაცნობა შემდგარიყო და გვესაუბრა იმაზე, რაც ჩვენ გვაერთიანებებს. ჯერჯერობით არ შევხებივართ იმ თემებს, რომელზეც შეიძლება განსხვავებული შეხედულებები გვქონდეს და სადისკუსიო იყოს.

***— რამდენად დატოვა გულწრფელი ადამიანის შთაბეჭდილება?***

— მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ნამდვილად არის.

***— ბატონო პაატა, თუ აქვს გაცნობიერებული შესაძლო საფრთხეები? მოქალაქეობის ჩამორთმევაზე როგორია მისი დამოკიდებულება?***

— ნამდვილად ჰქონდა გაცნობიერებული. ამას გაგებით ეკიდება. მიუხედავად იმისა, რომ მე დიდი ხანია ვიცნობ სააკაშვილს, ბოკერიას, მერაბიშვილს, ადეიშვილს, როგორც კი ბოროტების სივრცეში გადავიდა ეს ხალხი, მე მაშინვე გავწყვიტე მათთან კონტაქტი. ჯერ კიდევ საკრებულოს არჩევნები იყო 2002 წელს, როდესაც მე სააკაშვილისგან დავიწყე დისტანცირება. მაშინ საბოლოო განხეთქილება სხვათა შორის ოქრუაშვილის გამო მქონდა სააკაშვილთან. მე მაშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ვმუშაობდი და ოქრუაშვილი ხელს მიშლიდა. ეს სხვა თემაა. საუბრის თემას რომ დავუბრუნდეთ, მიუხედავად იმისა, ამ ვაჟბატონებთან მე უფრო დიდი ხნის ურთიერთობა მქონდა, ის მათ მათი ბოროტების პერიოდიდან იცნობს. შესაბამისად ჩემზე კარგად იცის, რისი გამკეთებლები არიან ისინი. მიუხედავად ამისა, ის წავიდა ამ ნაბიჯზე. ჩრდილიდან გამოვიდა და თავისი თავი პოლიტიკურ ფიგურად აქცია. ასე რომ, მან კარგად იცის, რა გამოწვევებთან შეიძლება საქმე ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, ბოლომდე აპირებს ბრძოლას. ეს მან მკაფიოდ თქვა. სასაცილოდ არ ყოფნიდა მის მოქალაქეობის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი. ექნება თუ არ ექნება მოქალაქეობა, მას უფლება აქვს, რომ იყოს ამ ქვეყნის მოქალაქე სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. პატრიოტი. პატრიოტობას ხომ ვერ წაართმევენ.

***— თუმცა, მისი პოლიტიკური ამბიციებისთვის, რაც მან დააფიქსირა, მხოლოდ პატრიოტობა საკმარისი არ არის...***

— ეს ადამიანი დაბადებული და გაზრდილია საქართველოში. საქართველოში აქვს ბიზნესის გარკვეული ნაწილი. მას აქვს ლეგიტიმაცია, ინტელიგენციის მიმართ სამსახური. მას ორი ქვეყნის: საფრანგეთისა და რუსეთის მოქალაქეობა აქვს, მათზე უარის შემთხვევაში რას შვრება საქართველო? ვალდებულია მისცეს, რადგან აქ არის დაბადებული. ის აქ მოითხოვს მოქალაქეობას. იმდენად პრიმიტიულია ამ ხელისუფლების ქცევები, იმდენად სასაცილოა, ქვეყანას რომ არ ანგრევდეს, უნდა დასცინო, მაგრამ ქვეყანას ანგრევენ და რა დროს დაცინვაზეა საუბარი. ტყუილების კორიანტელი წამოვიდა ჩემ წინააღმდეგ. ვერ კერავენ ჩემ წინააღმდეგ საქმეს და იტყუებიან, რომ თითქოს წითელ უბანში ჩამოგდებულ ბომბზე მე ვთქვი საეჭვო ვითარებაში ჩამოვარდაო. არ მითქვამს და რატომ იტყუებიან, რადგან სხვა არგუმენტი არააქვთ. ან ის, რომ აფხაზური პასპორტები შიდა მოხმარების პასპირტებად ვაქციოთ-თქო. მშვენიერია, მაგრამ თქვეს ამით აფხაზეთის ალიარება მოხდებაო, ეს ბოდვაა. პირიქით, ჩვენს სივრცეში შემოვიყვანოთ-მეთქი, როგორ შეიძლება ვაღიაროთ. იმდენად ისტერიკაში არიან, რომ ლოგიკურად აზროვნებასაც ვერ აწყობენ. ამ ისტერიკის გამოვლენაა ივანიშვილისთვის პასპორტის ჩამორთმევაა. ამით კიდევ უფრო აძლიერებენ მას.

***— მიუხედავად ამისა, ის უკან დახევას არ აპირებს?***

— არ აპირებს. მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

# „კახეთის ენერგოდისტრიბუცია გადახდისუუნაროდ გამოცხადდა

სააქციო საზოგადოება “კახეთის ენერგოდისტრიბუცია” გადახდისუუნაროდ გამოცხადდა.

როგორც „მედიანიუსს” საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემაში განუცხადეს, შესაბამისი გადაწყვეტილება კრედიტორთა საბჭოს სხდომაზე მიიღეს. ამავე გადაწყვეტილებით, სახელმწიფო კომპანიების წინაშე არსებული დავალიანების გამო კომპანია გაკოტრების რეჟიმზე უნდა გადავიდეს.

როგორც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ამასწინანდელ სხდომაზე განაცხადა, “კახეთის ენერგოდისტრიბუცია” გაკოტრების შემდეგ გაიყიდება. მისი ვარაუდით, სწორედ ამის შემდეგ გაგრძელდება და 2013 წლისათვის დასრულდება კახეთის გამრიცხველიანების პროცესი, რომელიც 2010 წელს დაიწყო.

მინისტრის განმარტებით, კახეთში გამრიცხველიანების პრობლემა ინვესტორის მიერ საინვესტიციო პირობების შეუსრულებლობის გამო შეიქმნა. კახეთის ენერგოდისტრიბუციას 2009 წლიდან ლიტვური კომპანია “ახემა ჯგუფი” ხელმძღვანელობს. მას სახელმწიფო კომპანიების 4 417 544 ლარის ვალი აქვს. მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა და შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ მიმართეს.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილმა ერიკ ფურნიე ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საფრანგეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი ერიკ ფურნიე ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა ერიკ ფურნიეს მადლობა გადაუხადა დიპლომატიური მოღვაწეობის პერიოდში გაწეული საქმიანობის, საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობების განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

ერიკ ფურნიე საქართველოში 2007 წლის სექტემბრიდან იმყოფება და დიპლომატიური უფლებამოსილების ვადა 2011 წლის 23 ოქტომბერს ეწურება. ერიკ ფურნიე საქმიანობას მომავალში საფრანგეთის საგარეო სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელის რანგში გააგრძელებს.

**ინტერპრესნიუსი**

# გუგული მაღრაძე: „ცრუ ოპოზიცია უნდა ვამხილოთ!“

შორენა კოწოწაშვილი

**„ქალთა პარტიის“ ლიდერი გუგული მაღრაძე პოლიტიკაში მერაბიშვილის გვერდით ყოფნას გამორიცხავს და ვერც იმას პროგნოზირებს, ურჩევს თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრი მიხეილ სააკაშვილს გადადგეს და დათმოს პირველკაცობის ამბიციები.**

***— ეს ძნელი სათქმელია, იმიტომ, რომ მაინც სააკაშვილია პირველი ფიგურა. მართალია, ვანო მერაბიშვილს გარკვეული გავლენა აქვს, მაგრამ მე მგონია, რომ მაინც სააკაშვილია პირველი ფიგურა. თუმცა, თუ არა ერთი მერაბიშვილი, არამედ სააკაშვილის „რუხ კარდინალთა“ სისტემა, რომელიც სააკაშვილთან ერთად მართავს ქვეყანას, თუ ისინი რაღაც მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებენ, ყველაფერი შესაძლებელია, — აცხადებს გუგული მაღრაძე და მიესალმება ივანიშვილის მხრიდან ფსევდო ოპოზიციის ღიად მხილებას.***

## გთავაზობთ ინტერვიუს გუგული მაღრაძესთან

***— ქალბატონო გუგული, რას იტყვით ივანიშვილის პოლიტიკურ ამბიციებზე. სერიოზულად აწრიალდა ხელისუფლება?***

— ივანიშვილის გადაწყვეტილებას ძალიან დადებითად ვუყურებ. მით უმეტეს, დღევანდელ სიტუაციაში, როცა ფაქტობრივად ხელისუფლებას იმდენად აქვს ფესვები გამდგარი ყველგან და ყველაფერში, მათ შორის, ოპოზიციური სპექტრის გარკვეულ ნაწილშიც, რომ მისი გადაწყვეტილება მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისუფლება კარგიც რომ იყოს და ხალხს მოსწონდეს, მაინც საჭიროა საპირწონე ოპოზიციური ძალის არსებობა. იმიტომ, რომ ეს ქვეყანაში ქმნის ნორმალურ კლიმატს როგორც პოლიტიკურს, ისე ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. მით უმეტეს, ჩვენს ქვეყანაში, სადაც ფაქტობრივად ხელისუფლებას არ ჰყავდა საპირწონე ოპოზიცია. როდესაც პოლიტიკაში შემოსვლას აპირებს ადამიანი, რომელსაც აქვს შესანიშნავი წარსული, კარგი ურთიერთობა საქართველოს მოსახლეობასთან თავისი ქველმოქმედებით, თავისი მოკრძალებით, ამავე დროს აქვს შესაძლებლობა ფინანსური და გონივრული, რა თქმა უნდა, სერიოზული თავსატეხია ეს ხელისუფლებისთვის. ხელისუფლებამ იგრძნო მისი საპირწონე ძალის გამოჩენა და სწორედ ამიტომ აწრიალდა. ნაციონალები უჭკუოები კი არ არიან, ამათ იციან, რა არის მათთვის ძალაუფლების დაკარგვისთვის რეალურად საშიში.

***— ივანიშვილის პროექტი ქართული პროექტია. მას ხელისუფლება რუს ოლიგარქს და რუსულ ინტერესებს მიაწერს.***

— მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ივანიშვილის პროექტი არის ძალიან ქართული პროექტი ბევრი კომპონენტის გამო. ამავე დროს არის ისეთი პოლიტიკური პროექტი, რომელიც ძალიან სასარგებლოა ქვეყნისთვის და მისაღებია ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის და ჩვენი მეგობრებისთვის. ამას ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სამომავლო განვითარებისთვის. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, საზოგადოება რამდენად დაუჭერს მხარს ივანიშვილის ინიციატივას. რამდენად სწორი ნაბიჯები იქნება გადადგმული პოლიტიკური ტექნოლოგიის თვალსაზრისით გადადგმული. იმიტომ, რომ ამასაც აქვს მნიშვნელობა. და რაც მთავარია, ქართული საზოგადოება უნდა გამოვიდეს მომლოდინეობის და უიმედობის პოზიციიდან. ქართველებს ეს ახასიათებს. კერ კიდევ ილიამ თქვა, ველოდებით ბაზალეთის ტბის ძირიდან აკვნიდან ამოსულ გმირს, რომელიც ჩვენ მაგივრად გადაწყვეტს ყველა პრობლემას. ეს ასე არ არის. სამწუხაროდ, ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ აქტიურები, მაგრამ აქ არის ერთი მთავარი რამ: იმედი გაჩნდა, რომ ამ მოძრაობას და აქტივობას აზრი ექნება. გაჩნდა შანსი იმის გამო, რომ ივანიშვილს აქვს ფინანსური და ორგანიზაციული, გამოცდილებითი რესურსები ასეთი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის. ახლა ყველაფერი ხალხის აქტივობაზეა დამოკიდებული, კრიტიკულობაზე. არც ეიფორიაში ჩავარდნა არ შეიძლება. როცა ითქვა, რომ ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე არ არის, ხალხი პანიკაში ჩავარდა. ეს არის პროცესში, რომელშიც ხალხი აქტიურად უნდა იყოს ჩართული. არ უნდა შეწყდეს მუშაობა საარჩევნო გარემოს შეცვლის კუთხით. იმიტომ, რომ ივანიშვილი იქნება თუ სხვა ვინმე, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება ყოვეთვის წაადგება სამართლიან არჩევნებს. არ უნდა შეწყდეს აქტივობები იმ დამღუპველი სოციალური პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ხელისუფლება აკეთებს; ბიზნესის დატერორების და პატიმრების წამების კუთხით. ყველა ეს მოძრაობა უნდა იყოს აქტიური, რაც კარგ ფონს შექმნის იმისათვის, რომ ოპოზიციურმა ძალებმა ეს ახალი პროექტი გააძლიერონ.

***— ანუ ერთი პოლიტიკური ძალა არ უნდა იყოს ხელისუფ;ლების საპირწონე?***

— მარტო ერთი ძალა, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს. მართალია, მე ვეთანხმები ბატონ ბიძინას შეფასებას და ძალიან კარგია იმიტომ, რომ ერთხელ ვწერდი, დავიღალე-მეთქი ამ ნახევრად თქმული სიმართლით, როცა ყველამ ვიცით, ვინ ვინ არის და არავინ ხმამაღლა არ ვამბობთ.

***— ანუ ამართლებთ ივანიშვილის მხრიდან ფსევდო ოპოზიციაზე ღიად საუბარს?***

— ნამდვილად. იმიტომ, რომ სხვა პოლიტიკაა, როცა ღიად შემოდიხარ და ამბობ ყველაფერ სიმართლეს. ეს, სხვათა შორის, ძალიან წმენდს სიტუაციას. იმიტომ, თავიდან საქმეს რომ იწყებ, სამუშაო მოედანი თუ არ გაწმინდე, ისე საქმეს კარგად ვერ დაიწყებ. ივანიშვილმა თავისი შეხედულებისამებრ მისი ადგილი მიუჩინა ყველა ოპოზიციურ ფსევდო თუ ნამდვილ ოპოზიციას.

***— ივანიშვილს ყველაფერში ეთანხმებით, რაც მისი განცხადებიდან გახდა ცნობილი?***

— შეიძლება ყველაფერში არ ეთანხმებოდე, მაგრამ ძირითადად ის პოზიციები, რაც მან გამოხატა, აბსოლუტურად სწორია. იგივე იმ ექსპერტების მიმართ, რომლებსაც პატივს სცემს, როგორც ექსპერტებს, მაგრამ ხშირად მათი შუალედური და ცოტა ამბიციური პოზიცია ხელისუფლების წისქვილზე უფრო ასხამს წყალს. იგივე ტელევიზიების მხრივაც. ფაქტობრივად, ეს შეთავაზება იყო ის, რაც რეალურად ხდება ხოლმე, მაგრამ პოლიტიკას უყვარს სხვა ტერმინებით ლაპარაკი. ბიზნესი ალბათ უფრო პირდაპირია. თორემ ჩვენ ვიცით, რომ ალბათ ყველა ტელევიზია რაღაცა ინტერესებს ემსახურება. ამ შემთხვევაში „მაესტროზე“ მე თქმა არ შემიძლია იმიტომ, რომ „მაესტროზე“ ორო წელია არ მოვუწევვივარ. ალბათ იქაც რაღაცა შერჩევითი დამოკიდებულებაა. რაც შეეხება „კავკასიას“, ვთვლი, რომ ეს არის ინდივიდუალური ანუ ეს არის აქუბარდიას ტელევიზია. ის ძალიან დიდ საქმეს აკეთებს იმით, რომ ობიექტურ ინფორმაციას ჩვენ ძირითადად ამ ტელევიზიით ვიგებთ. რაღაც ლავირება არის, ვილაცას იწვევს, ვილაცას არა. როცა რაღაც ხდება, აქუბარდია ცდილობს, იმ დღეს ის ადამიანი მოიყვანოს ეთერში, რომლის შესახებაც საზოგადოების ინტერესია. როცა ავტორიტარულ ქვეყანაში საკუთარი ტელევიზია გაქვს, რაღაც ლავირება გჭირდება, რა თქმა უნდა. მიმაჩნია, რომ ივანიშვილის გამოსვლის ძირითადი პათოსი სწორია.

***— რუსი ოლიგარქის ძახილი ივანიშვილის იმიჯზე უარყოფითად ვერ იმოქმედებს?***

— რა თქმა უნდა, ვერ იმოქმედებს. 90-იანი წლების საქართველოში ბიზნესი დაკეტილი იყო. ქართველი კაცი უცხოეთში, დასავლეთში ვერ წავიდოდა. ერთადერთი ადგილი, სადაც ქართველი ბიზნესის საკეთებლად წავიდოდა, იყო რუსეთი. ივანიშვილმა რუსეთში საკმაოდ სუფთა ბიზნესი გააკეთა იმ დროში, რაც ადვილი არ იყო. ადამიანური ამბავია, ადამიანს რომ უნდა თავის სამშობლოში მდგომარეობა გაუმჯობესდეს და



ქვეყნის წინსვლაში წვლილი შეიტანო. სხვათა შორის, ჩვენ რომ არა ვართ იმ სამარცხვინო მდგომარეობაში, რომ ყოველ თვეში რომელიმე პროფესორი ან მსახიობი შიმშილით მოკვდეს, ეს არის ბიძინა ივანიშვილის დამსახურება. გარდა ამისა, მისი წყალობით დგას უნივერსიტეტის შენობა ფეხზე. საძირკველი სულ მომპალი იყო და მისი დახმარებით გარემონტდა. გარდა ამისა, ბევრი რამ, რითაც ამ ხელისუფლებას თავი მოაქვს, ივანიშვილის დამსახურებაა.

***— ანუ დაუმსახურებელია ივანიშვილის მიმართ „შავი პიარი“?***

— „შავი პიარი“ რომ იქნება, რათ უნდა ამას ლაპარაკი. ივანიშვილი კი არა, ოდნავ თავს რომ წამოყოფს ვინმე და ცოტა პოპულარული გახდება, იმასაც დააცხრებიან. მით უმეტეს, ივანიშვილი ძალიან სახიფათოა ამ ხელისუფლებისთვის თავისი შესაძლებლობებით. ამ ხელისუფლებას ჩვენი კრიტიკის ნაკლებად ეშინია, მაგრამ ივანიშვილი არის ფიგურა, რომელსაც დასავლეთიც იცნობს, რუსეთიც და საქართველოშიც კარგი სახელი აქვს. თანაც, ძალიან კარგად ჩანს, რომ ივანიშვილი გულწრფელია. ის გულწრფელი მოტივაციით მოდის პოლიტიკაში. ამასწინათ წავიკითხე, უანგაროდ არავინ არაფერს არ აკეთებსო. კი ბატონო, რაშია ანგარება?! მე ვხედავ, რომ

ივანიშვილის ანგარება არის ის, რომ თავის ქვეყანაში ბევრი კარგი აკეთოს. მას უნდა თავის ქვეყანაში იცხოვროს და მის ქვეყანაში იყოს ისეთი სიტუაცია, რომ ნორმალურად ცხოვრება შეეძლოს და მის ირგვლივ ამდენ უბედურს, გაჭირვებულს არ ხედავდეს. ჭორველას დაეხმარა, მაგრამ მთელ საქართველოში სიტუაციის გამოსწორებისთვის პოლიტიკური ძალაუფლება უნდა გქონდეს. შიში, გაჭირვება და ა.შ. რაც ქვეყანაშია დასადგურებული, რამდენ ხანს უნდა გაუძლო ამ ყველაფერს?! ივანიშვილს ორი შანსი ჰქონდა: ან საქართველო უნდა დაეტოვებინა, ან ებრძოლა საქართველოსთვის. კაცმა აირჩია საქართველოსთვის ბრძოლის გზა. ხალხიც გვერდში უნდა დაუდგეს, პოლიტიკური პარტიებიც და ყველა, ვისაც უნდა, რომ საქართველოში ნორმალური სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული განვითარება დაიწყოს.

***— შესაძლებლად გეჩვენებათ სააკაშვილის პოლიციური მმართველობის პირობებში ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა? პოლიტიკოსთა ნაწილი უკომპრომისო ბრძოლას მიანიშნებს.***

— ცხადია, ძალიან რთულია. იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებას ზემოქმედების ძალიან ბევრი მუხრუჭი აქვს, მაგრამ შეუძლებელი არ არის. იმიტომ, რომ არის რაღაც მომენტები, რაც კარგად ორგანიზებულ ჯანსაღ ოპოზიციიურ ძალას გამარჯვების მოპოვების საშუალებას მისცემს. აქ რა მომენტებია. ხშირად ივანიშვილს პატარკაციშვილს ადარებენ. 2007 წელს ოპოზიციას უფრო მეტი ნდობის ვოტუმი ჰქონდა ქვეყნის შიგნითაც და სხვათა შორის, ქვეყნის გარეთაც. 2008 წლის და შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ დასავლეთიც შეშფოთებულია იმით, რომ საქართველოს გამო რაღაც ურთიერთობები სულ მუდმივად ბომბზეა. როდის რა იქნება, არავინ იცის. სტაბილურობის განცდა, რომ ეს ხელისუფლება რამეს არ გამოახტუნებს, არ არის. ასეთ შემთხვევაში თუკი გამოჩნდება ისეთი პროექტი, რომელიც საგარეო პოლიტიკაში ძირითადად დასავლური ორიენტაციისაა და ნამდვილად ივანიშვილი ჯერ მარტო თავის ბიზნეს მოღვაწეობიდანაც ჩანს, რომ დასავლური ორიენტაციისაა ეს ადამიანი. გარდა ამისა, ადამიანი, რომელმაც შეიძლება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უფრო უკეთესი გახადოს. ეს დასავლეთს ძალიან სჭირდება. გაგახსენებთ, სარკოზიმ მთავარი რა თქვა: უნდა მოაწესრიგოთ რუსეთთან ურთიერთობაო. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების ხელში და იმ ხელისუფლების ხელში, რომელიც რუსეთში მოვა — პუტინი, ამ ურთიერთობის რაიმე დოზით დათბობის შანსი არ არის. მაშინ, როდესაც გაგახსენებთ იგივე მედვედევის გამოსვლას, არ დაელაპარაკებიან ამ ხელისუფლებას და დაელაპარაკებიან სხვა ხელისუფლებას. ეს არის ძალიან დიდი შანსი საქართველოსთვის. პოლიტიკოსი, რომელსაც თავის ქვეყანა უყვარს, იგივე დღევანდელ ხელისუფლებას ვგულისხმობ, თვითონაც უნდა მიდიოდეს, თუ ქვეყანას რაღაც შანსი გაუჩნდება. თანაც აქ არის ერთი ძალიან საინტერესო რაღაც განსხვავებით ბადრი პატარკაციშვილისაგან. ივანიშვილის წარსულში არაფერი არ არის ხელმოსაკიდი. რაც არ არსებობს, რა უნდა გამოიგონონ?! თანაც, ივანიშვილი არ ამბობს, რომ ამ ხელისუფლებას ჩვენ გადავაგდებთ, დავამხობთ. ის ამბობს, რომ შექმნის პოლიტიკურ პარტიას და არჩევნების გზით მოვა ხელისუფლებაში, თანაც უმრავლესობით. ეს საინტერესო უნდა იყოს ნაციონალური მოძრაობისთვისაც. ივანიშვილი ამ განაცხადით არ ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა დაისჯება და სხვ. მას უკვე წინასწარ მონახაზში გარკვეული ადგილი პოლიტიკური ოპოზიციისთვის საპარლამენტო დონეზე აქვს. თუ ნაცმოძრაობაში არიან ადამიანები, რომლებსაც კრიმინალი არ აქვთ ჩადენილი, რომ თავისუფალმა სასამართლომ შეიძლება ისინი დასაჯოს, მას აქვს საშუალება თუ ივანიშვილის ძალა მოვა უმრავლესობით, გააგრძელოს პოლიტიკური მოღვაწეობა და იყვნენ თავის ქვეყანაში. მე მგონი, ამასვე ემსახურება ის ჟესტი, რომელიც ივანიშვილმა ვანო მერაბიშვილის მიმართ გააკეთა, როცა თქვა, რომ მერაბიშვილი კარგი მენეჯერია. ამაში მას მეც ვეთანხმები. ფაქტია მერაბიშვილმა ეს სისტემაააწყო. რადგან მერაბიშვილთან მიმართებაში გამოთქმულ პოზიციაში ივანიშვილს ვეთანხმები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკაში მერაბიშვილის გვერდით დავდგები.

***— მერაბიშვილის მოქმედებები როგორ წარმოგიდგენიათ?***

— შეიძლება მერაბიშვილსაც გაუჩნდეს ორმაგი განწყობა, რამე რომ მოხდეს, იქნებ ჩემი ადგილიც იყოს ამ ქვეყანაზე.

---

## დეპუტატებს შიდსის თემაზე სემინარები ჩაუტარდებათ

პარლამენტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს შიდსის თემატიკაზე სემინარები ჩაუტარდებათ. ტრენინგები 19-20 ოქტომბერს გაიმართება. მისი ორგანიზატორები ათასწლეულის განვითარების მიზნების საპარლამენტო ჯგუფი და გაეროს მოსახლეობის ფონდი არიან, პარტნიორი კი -- პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

შეხვედრაზე განხილული იქნება აივ ინფექციის და შიდსის გავრცელების და პრევენციის საკითხები, აივ ეპიდემიის თავისებურებები საქართველოში, აივ ინფექციასა და შიდსთან დაკავშირებული სტიგმა და დისკრიმინაცია, შიდსის საპასუხო გლობალური და ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგიები.

სემინარებს არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომას“ ექსპერტ-ტრენერები გაუძღვებიან. მისი მონაწილეები სერტიფიკატებს მიიღებენ.

შეხვედრებს საქართველოს პარლამენტი უმასპინძლებს.

**მედიანიუსი**

---

## ბრიტანეთის პრემიერის კანცელარიის უფროსი საიდუმლო დოკუმენტებს პარკში სეირნობისას ნაგვის ურნებში ყრიდა

დიდ ბრიტანეთში ახალი სკანდალის შესახებ გახდა ცნობილი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის უფროსი ოლივერ ლეტუინი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საბუთებს სენტ-ჯეიმსის პარკში განთავსებულ სანაგვე ურნებში ყრიდა. მათ შორის იყო ისეთი საბუთებიც, რაც “ალ-ქაიდას” უკავშირდება.



გამოცემა „დაელი ტელეგრაფის“ ჟურნალისტები პრემიერის კანცელარიის ხელმძღვანელს ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უთვალთვალებდნენ. მათ ფოტოსურათებიც გადაიღეს, რომლებზეც ჩანს, რომ ის საბუთებს დასასვენებელ პარკში სანაგვე ურნებში ყრიდა.

გამოცემის კორესპონდენტების ცნობით, ოლივერ ლეტუინმა ასამდე ასეთი მნიშვნელოვანი საბუთი გადაყარა, რომლებიც ჟურნალისტებმა ურნებიდან ამოიღეს და გაეცნენ. ერთ-ერთ საბუთში ნათქვამი იყო პაკისტანისა და “ალ-ქაიდას” თანამშრომლობის შესახებ. ასევე, იყო საიდუმლო წერილები, რომლებშიც სპეცსამსახურების შესახებ იყო საუბარი.

ინგლისის პრემიერის ოფისის ოფიციალური წარმომადგენელი აცხადებს, რომ აღნიშნული წერილები საიდუმლო ინფორმაციას არ წარმოადგენდა. გამოცემის ცნობით, პრემიერ-მინისტრის ოფისში არაერთი საიდუმლო დოკუმენტი დაკარგულა, მათ შორის დისკები და ფლეშ-ბარათები, რომლებშიც მილიონობით ბრიტანელის პირადი მონაცემები იყო შეტანილი.

**ინტერპრესნიუსი**

---

## კასპში 11 წლის ბავშვმა თავის მოკვლა სცადა

11 წლის ბავშვმა კასპის რაიონის ერთ-ერთ სოფელში თავის მოკვლა სცადა.

მშობლებმა მოზარდი საკუთარი სახლის საპირფარეშოში, უგონო მდგომარეობაში იპოვეს.

არსებული ინფორმაციით, ბავშვი თავის ჩამოხრჩობას პირსახოცების გამოყენებით აპირებდა.

ამჟამად მოზარდი თბილისში, იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაშია გადმოყვანილი.

ცნობილია, რომ 11 წლის ბიჭი სტიქაროსანი იყო, ამიტომ მეზობლებს თვითმკვლელობის მცდელობის ვერსიის დაჯერება უჭირთ.

ექიმების განცხადებით, ბავშვი უმძიმეს მდგომარეობაშია და ის რეანიმაციულ განყოფილებაში, სასუნთქ აპარატზეა შეერთებული.

**მედიანიუსი**

# ანი სირაძე: „გაიგეთ ხალხო, ფეხმძიმედ არ ვარ!“

ეკა ირემაშვილი

**მომღერალმა ანი სირაძემ თავის ერთგულ მსმენელს სიურპრიზი მოუმზადა – თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით ახალი სიმღერა „თბილისს“ ჩაწერა და კლიპიც გადაიღო. სიმღერის კომპოზიტორი ეთერ ჭელიძეს ეკუთვნის, რომელიც მომღერლის ბებიაა. როგორც ანი ამბობს, ბებიის მუსიკალურ სკივრში ბევრ კარგ სიმღერას მიაგნო და უახლოეს მომავალში მათ გაჟღერებასაც აპირებს.**



რა ჭორი მოუგონეს 17 წლის მომღერალს, როდის გამოდის მდგომარეობიდან და კიდევ რა სიახლეებს უნდა ველოდოთ მისგან, ამ თემებზე ანი სირაძე „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ანი სირაძე:**

– ერთ-ერთი ბოლო კონცერტი პირველ აგვისტოს მქონდა ბათუმში. სექტემბრიდან კი დავიწყეთ მუშაობა კლიპზე. იდეის ავტორი არის ოთო ლომთაძე, რეჟისორი – ირაკლი ცქიტიშვილი, ტექსტი დამიწერა ქალბატონმა ნანა ცინცაძემ, სიმღერა არის ჩემი ბებიის ეთერ ჭელიძის, მაგრამ უცნობი სიმღერაა, თუმცა ძალიან კარგი. ფართო მასშტაბით ჩემგან გაიგებს ხალხი ამ სიმღერას. იმდენად მართლა კარგი სიმღერაა, გადავწყვიტე კლიპი გადამეღო.

***– რა ჰქვია სიმღერას?***

– სიმღერას ჰქვია „თბილისს“ და, შესაბამისად, კლიპიც არის თბილისზე. ის მთლიანად თბილისში გადავიღეთ, სადაც აქტუალურია თბილისის ქუჩები.

***– როგორია კლიპის სცენარი?***

– კლიპში ვარ მხატვარი და ვხატავ თბილისს. გადაღებები მიდიოდა თბილისში რამდენიმე ადგილას – კლუბში „ქალაქური“, სამხატვრო გალერეაში, საგამოფენო დარბაზსა და თბილისის ქუჩებში.

***– რა დრო დაგჭირდათ კლიპის გადასაღებად?***

– მინიმალური დრო – ორი დღე დაგვჭირდა გადაღებებისთვის.

***– ხატვა გეხერხებათ?***

– არა, მაგრამ ამ კლიპს იმდენად პროფესიონალურად მივუდექით, რომ ხატვის გაკვეთილებზეც ვიარე, ელემენტარულად ფუნჯი სწორად რომ დამეჭირა. ჩემთვის კლიპში ყველა დეტალს მნიშვნელობა აქვს.

***– ხომ არ დაინტერესდით ხატვით?***

– არა, ხატვით ნამდვილად არ დავინტერესებულვარ. ყველაზე ცუდი ნიშანი სკოლაში მყავდა ხატვაში. არ შემიძლია, არ მიყვარს. არ გამომდის ხატვა, თორემ რომ ვთქვა, ვერ ვიტან-თქო, ასე არ არის.

***– სცენარის დაწერაში ჩაერიეთ?***

– არანაირად არ ჩავრეულვარ. ოთოს მივენდე მთლიანად.

***– ეთერ ჭელიძის სიმღერამ ინტერპრეტაცია ხომ არ განიცადა?***

– კი. სიმღერას სანამ ჩავწერდი, ბოლოში აბსოლუტურად ჩემი ინტერპრეტაციით გავაკეთე. მელოდიაც ჩემია და ყველაფერი, მაგრამ რაც შეეხება სცენარს, იქ აბსოლუტურად ზედმეტი ვიქნებოდი. ეს ოთოს საქმეა. სიმღერაში კი, რაც ჩემი საქმეა, მაქსიმალურად ვიმუშავე. როცა ოთო სცენარს მომიყვა, იმდენად მომეწონა, რომ ერთი შენიშვნაც კი არ მქონია. რადიკალურად განსხვავებული სცენარი დაწერა და მართლა ძალიან ნიჭიერია. ალბათ კლიპის ნახვის შემდეგ მაყურებელი ყველაფერს მიხვდება. ოთო ყველაფერს უდგება პროფესიონალური თვალსაზრისით და არ უნდა, რომ წვრილმანიც კი შეცდომით იყოს გაკეთებული.

***– კიდევ იმუშავებთ ამ გუნდთან?***

– კი, აუცილებლად. მართლა ძალიან კმაყოფილი ვარ. კლიპი „ვანოს შოუმდე“ მეც არ მქონდა ნანახი. დარწმუნებული ვარ, რომ მართლა პროფესიონალები მუშაობდნენ. 6 კლიპი მაქვს გადაღებული და სულ სხვადასხვა ჯგუფთან მიწევდა მუშაობა. რაც კი მიმუშავია, ყველაზე პროფესიონალები ესენი იყვნენ.

***– მონტაჟის პროცესსაც არ უყურეთ?***

– არა, აბსოლუტურად, 100 პროცენტით ვენდობი ყველას და ვიცი, რომ კარგი გამოვიდა. რომ არ ვენდობოდე, აუცილებლად ჩავერეოდი, მით უმეტეს, სამონტაჟო სამუშაოებში.

***– ეს სიმღერა რატომ ამოირჩიეთ?***

– ეს სიმღერა დაწერა ბებიამ, მაგრამ არავის უმღერია, არც კონცერტზე და არც ისე.

***– თქვენ გინახავდათ?***

– ალბათ. ჩემი სტილის სიმღერაა ნამდვილად, მომერგო და ძალიან მომეწონა. ბევრი სიმღერა აქვს ბებიას, რომელიც ცნობილია და კიდევ უფრო ბევრი სიმღერა აქვს ისეთი, რომელიც არ არის ცნობილი. რამდენიმე ვარიანტი ავიღეთ 3-4 სიმღერა და ყველაზე მეტად ეს მომიხდა. მე მიყვარს ჩემი ქალაქი და ჩემი თბილისი და ამ კლიპით ამას კიდევ ერთხელ დავამტკიცებ.

***– თქვენს ასაკში კლიპებს ძირითადად ზღვაზე და გართობაზე იღებენ. თქვენ თბილისი რატომ აირჩიეთ?***

– რადგან თბილისობაც ახლახან იყო, თან ვარ 17 წლის, უბრალოდ მგონია, რომ ძაან გადამწვარ სიყვარულზე ვერ ვიმღერებდი, არც იმ ასაკში ვარ, რომ ენძელებსა და იებზე ვიმღერო.

***– 16 წლის ასაკში პოლიტიკური სიმღერა იმღერეთ, „არ გვინდა ვანიაო“ და 17 წლისამ რომ სიყვარულზე იმღეროთ, რა მოხდა?***

– პოლიტიკური კი იყო „არ გვინდა ვანია“, მაგრამ მქონდა მიზეზი, რის გამოც ეს სიმღერა ვიმღერე.

***– რა მიზეზი?***

– როდესაც 2008 წელს გავედი დუეტ „ჯორჯიასთან“ ერთად, გავიარე კასტინგი საბავშვო იურმალაზე, გავედი ფინალში, კრუტოიმ და რევზინმა შემაფასეს, მაგრამ როცა ომი დაიწყო, უარი ვთქვი იქ წასვლაზე. იქიდან იყო შემოთავაზება, თქვენ ჩამოდით, მერე რა, რომ ომი მოხდაო. საბავშვო იურმალა მაკას და რატის გამარჯვების შემდეგ ერთ თვეში იწყებოდა. მაშინ ისეთი ვიყავი, მქონდა ძალიან დიდი პროტესტი, მინდოდა, რაღაც ფორმით გამომეხატა ეს. გადავწყვიტე მემღერა ვანიაზე. დღემდე არ ვიცი, რატომ ეძახიან ამ კლიპს სკანდალურს, მასში სკანდალური არაფერიც არ არის. რაც გაშუქდა ტელევიზიით – უნიტაზების მოპარვიდან დაწყებული, ჩანგლით დამთავრებული, ეს ხომ მართლა მოხდა? ჩვენ არაფერი დაგვიმატებია. მე მართლა მიყვარს საქართველო და თბილისი. ეს არაერთხელ დავამტკიცე. ჩემს ადგილას ბევრი მაინც წავიდოდა საბავშვო იურმალაზე, იმიტომ, რომ ბევრი ამაზე ოცნებობს.

***– წლები გავა, თუ იფიქრებთ იურმალაზე?***

– არა, უკვე მქონდა შანსი, მაგრამ მე უარი ვთქვი. აბსოლუტურად იგივე ჟიური იჯდებოდა, აბსოლუტურად იგივე სცენაზე გვექნებოდა კონცერტები, მაგრამ რადგან ერთხელ ვთქვი უარი, ე.ი. მორჩა. თან ალბათ ისინიც განაწყენებული არიან და სიმართლე რომ ვთქვა, არც მაქვს სურვილი, იურმალაზე წავიდე.

***– საერთაშორისო ფესტივალებზე თუ წახვალთ?***

– რატომაც არა?! დიდი სიამოვნებით. რომ შევაჯამო, 25 კონკურსში მაქვს მონაწილეობა მიღებული და არსაიდან არ ჩამოვსულვარ საპრიზო ადგილის გარეშე. ყოფილა მესამე ადგილიც, მაგრამ ძირითადად პირველი ადგილი ან გრანპრი ამიღია. სიმართლე რომ გითხრათ, საზღვარგარეთ გაცილებით ობიექტურები არიან, ვიდრე საქართველოში. ამიტომ აუცილებლად წავალ საზღვარგარეთ.

***– ანუ საქართველოში იჩაგრებით?***

– არა, არ ვიჩაგრები, უბრალოდ, საზღვარგარეთ უფრო მაფასებენ.

***– ჩვენთან ჭირს ობიექტურობა?***

– შეიძლება ასეც ითქვას. არაერთი მომღერალია, რომელიც საქართველოში არ დააფასეს და წავიდა საზღვარგარეთ. ახლა რომ ჩამოდიან ჩვენთან, წითელ ხალიჩებს უგებენ. ღმერთმა დაიფაროს, რომ ყველგან ეგრე იყოს, რა თქმა უნდა, ყველგან ასე არ არის. კიდევ ერთხელ ვამბობ, ძალიან მიყვარს ჩემი საქართველო. ისე არ მივუძღვნიდი სიმღერას და კლიპს თბილისს, რომ არ მიყვარდეს. უბრალოდ, კონკურსებთან დაკავშირებით ასეა.

***– კიდევ თუ „ამოქექავთ“ რამეს ბებოს მუსიკალური სკივრიდან?***

– უკვე ამოქექელი მაქვს. ცოტა ხანში ჩავწერ ბებიაჩემის კიდევ ერთ სიმღერას, რომელზეც კლიპს არ გადავიღებ. ორ თვეში ერთხელ სიმღერებზე კლიპის გადაღებას ნამდვილად არ ვაპირებ. დაახლოებით ორ თვეში ჩავწერ კიდევ ახალ სიმღერას და მისი პრემიერაც იქნება.

***– თბილისში შემოქმედებითი პაუზა რატომ გაიხანგრძლივეთ?***

– „ჯეოსტარის“ შემდეგ მართლა არ მქონია პაუზა. როდესაც წამოვედი პროექტიდან, წავედი ჩემს ნათესავებთან ავსტრიაში, დავმშვიდდი, დავწყნარდი. როგორც კი ჩამოვედი, თამამად შემიძლია ვთქვა, რაც კი სცენაზე ვდგავარ 13 წელია, „ჯეოსტარის“ მერე რომ კონცერტები მქონდა, ეგეთი არ მქონია არასდროს. მთელი საქართველო მოვიარე, იმხელა ტურნე მქონდა, კვირაში ერთხელ მაინც მქონდა კონცერტი. აგვისტოში მქონდა სოლოკონცერტი ბათუმში, ჩამოვედი თბილისში და კლიპი გადავიღე, მე მგონია, რომ ცოტა არ არის და სახლში ნამდვილად არ დავმჯდარვარ.

***– „ჯეოსტარის“ ეტაპმა გაიარა?***

– კი, რა თქმა უნდა, გაიარა. მთავარია ხალხს უყვარდე, თორემ სამი კაცის შეხედულებით არ წყდება, კარგი ხარ თუ არა.

***– რა მოგცათ „ჯეოსტარმა“?***

– ერთი მხრივ, კარგი იყო, იმიტომ, რომ მივიღე ძალიან დიდი გამოცდილება. კი მომეშალა ნერვები, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხალხს ვუყვარვარ, იმიტომ, რომ ვიყავი სულ ესემეს ლიდერი. ძალიან ბევრი მწერდა, „გბალეშიკობო.“ ცოცხალ ბენდთან ვიმუშავე. ის ორი თვე ძალიან კარგი იყო.

***– ფსიქოლოგიურად არ იყო რთული?***

– ეგ კი, მაგრამ მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვინც ასეთ რაღაცეებს გადის. არა უშავს, შეცდომებს ყველა უშვებს.

***– თქვენ და მარინა ბერიძე შერიგდით?***

– არა, „ჯეოსტარის“ შემდეგ საერთოდ არსად არ მინახავს მარინა. რომ დავფიქრდი, ახლა ამ ყველაფერს ვუყურებ სხვა თვალით. „არ გვინდა ვანიათი“ კი ვიყავი პოპულარული, მაგრამ „ჯეოსტარით“ კიდევ უფრო პოპულარული გავხდი. ამ პროექტმა კიდევ უფრო მეტი ხალხის სიყვარული და მხარდაჭერა მომაპოვებინა. შევხედე იმ თვალით, რომ მივიღე პრაქტიკა, გამოცდილება, გამოვედი და ხალხმა კიდევ უფრო შემიყვარა. ეს არის ჩემთვის მთავარი. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ჟიურის თავმჯდომარეს თუ არ მოვწონდი, ეს ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, იმიტომ, რომ აბსოლუტურად ბევრი მუსიკოსი ადევნებდა „ჯეოსტარს“ თვალყურს და მათგან მივიღე ბევრი კომპლიმენტი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩვეულებრივი ადამიანის აზრი, ასევე პროფესიონალის. მათ მითხრეს, შენ კიდევ ძალიან ბევრი გაქაჩე, რადგან გქონდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, ყელის საშინელი პრობლემა, ბევრი ამას ვერ იზამდაო. მიხარია, რომ ყველაფრის მიუხედავად, შევძელი და დავდექი სცენაზე. ისე მოხდა, რომ მისი აზრი და ხალხის აზრი დაემთხვა ერთმანეთს. არანაირად არ ვიტყვი მარინაზე, რომ ცუდი ქალია. უბრალოდ, მქონდა წყენა, რაც მოვყევი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუკი ერთად სადმე მოვხვდებით, ერთმანეთს არ მივესალმებით. რა თქმა უნდა, ერთმანეთს აუცილებლად ჩვეულებრივად ვეტყვით გამარჯობას.

***– თქვენ და ანრი ჯოხაძე თუ დაწყვილდებით ისევ შემოქმედებითად?***

– არა, არანაირად. მე ყოველთვის მიყვარს პირდაპირი ლაპარაკი, ამიტომ მოდით ვაღიაროთ, „არ გვინდა ვანია“, მარტო ანი სირაძე არ იყო, იქ ასოცირდებოდა ანრი ჯოხაძეც. ბევრ გადაცემაში ითქვა, რომ ანრი ჯოხაძემ გადაიღო კლიპი, არადა, იმ კლიპში მე ვიყავი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი კლიპის სცენარი გაეკეთებინა ოთო ლომთაძეს. „ჯეოსტარის“ შემდეგ კი გადავწყვიტე ვიყო ანი სირაძე, უბრალოდ, ასე მირჩევნია და არა ანრის ზურგს ამოფარებული მომღერალი.

***– არც დუეტს არ ჩაწერთ?***

– ჩვენ უკვე გვაქვს ორი დუეტი და მგონია, რომ საკმარისია. ალბომს ხომ არ გამოვუშვებთ?!

***– ოთო ლომთაძეს „კენზოსთან“ ხომ არ შემოგთავაზათ დუეტის ჩაწერა?***

– ჯერ არა. ახლა ხომ ახალი ჯგუფი ჰყავთ – „ელიავა სთრით ბოისი“. ამ კლიპით კიდევ ერთხელ დამტკიცდება, რომ ოთო არის მართლა ძალიან ნიჭიერი.

***– რატომ არ ჩანხართ იმ თოქშოუებში, სადაც ქართულ შოუბიზნესს ძალიან უყვარს მისვლა?***

– როცა მეძახიან, ყოველთვის მივდივარ. ამ ბოლო დროს არავის მივუწვევივარ.

***– თემას გააჩნია?***

– არა, ჩემთვის ყველა თემა მიღებულია და შემიძლია ნებისმიერ თემაზე ვისაუბრო.

***– პირადზეც?***

– სხვათა შორის, მაგ თემაზე ყველაზე ნაკლებად ვსაუბრობ. ეს თემა ჩემთვის ყველაზე დახურულია, მაგრამ ბოლო ჭორები რომ მოვისმინე, მთლად შოკში ვარ. აღარ შემიძლია.

***– ამჯერად რა მოგიგონეს?***

– არ იცით, რომ ორსულად ვარ? ჟურნალებშიც დამიწერეს, რომ ორსულად ვარ, ტელევიზიითაც გამოაცხადეს, ხალხი მწერს და მილოცავს.

***– რატომ გაჩნდა ეს ჭორი?***

– ნათქვამია, ცეცხლი უკვამლოდ არ ჩნდებაო. ეტყობა მე მივეცი საბაბი. „ჯეოსტარის“ შემდეგ გადავწყვიტე მომემატა წონაში. 16 წლისთვის 43 კილო იყო ძალიან ცოტა, ამიტომ 5-7 კილო მოვიმატე. ამის მერე ყველას ჰგონია, რომ ვარ ორსულად. მწერს ხალხი და მილოცავს. რომ მწერენ და ვეუბნები, გმადლობთ, მაგრამ არ ვარ ორსულად-მეთქი და დარწმუნებული ხარო? შოკში ვარ! უკვე ორი კვირაა ყელში ამომივიდა.

***– ბავშვის მამას იცნობთ?***

– არა, აზრზე არ ვარ ვინ არის. რომ დავკარგო ბავშვი, მერე ამ ჭორიკნებს რა ეშველებათ?

***– მიეჩვიეთ უკვე ამ ყველაფერს?***

– კი და საერთოდ არ მეშლება ნერვები. ძალიან მეცინება და ვხალისობ ასეთ რაღაცეებზე.

***– როცა ჭორიკნები ზედმეტებში გადადიან?***

– იმას უკვე მივეჩვიე, ვისთანაც ვდგები დუეტში სამღერად, ყველა რომ ჩემი შეყვარებულია. ამათი ჭკუით, ხომ არ არსებობს ისე ვინმესთან ვიმღერო. ახლა ორსულობა მომიგონეს, ბავშვს ველოდები და რომ არ გაჩნდება, რა უნდა ქნან, ხომ არ იტყვიან, გააშვილაო?

***– დედას რა რეაქცია აქვს?***

– დედა საკმაოდ გამოცდილია. პატარაობიდან ჩემი ბებიის შოუბიზნესში ყოფნას მიჩვეული იყო და ყველაფერი გამოვლილი აქვს ჩემზე მეტად და ყველაფერი იცის. დედას საერთოდ არ ეშლება ნერვები. თუ ავღელდი და განსაკუთრებით განვიცდი, მამშვიდებს ხოლმე. როცა ადამიანი ცნობილია და, მით უმეტეს, მასზე ლაპარაკობენ, ძალიან ბევრი ჭორი იქნება.

***– ბევრი თავის თავზე ჭორს იგონებს, თქვენ თუ მოქცეულხართ ასე?***

– ვიცი, რომ პიარის გამო, შოუბიზნესში ჭორებს საკუთარ თავზე თვითონვე იგონებენ, მაგრამ ცხოვრებაში ჩემზე ჭორი არ მომიგონებია. მაგდენს ვერ ვქაჩავ. არ მინდა ამ სისულელეების გამო ნერვები ვიშალო. სულ მხიარული და ენერგიული ვარ. პატარაობიდან ასე ვარ. ძალიან უნდა ამომივიდეს ყელში, რომ გავბრაზდე და მდგომარეობიდან გამოვიდე.

***– სოციალურ ქსელში ისევ იყენებენ თქვენს სახელს?***

– კი, „ადნაკლასნიკებში“ დავთვალე და 34 ანი სირაძეა. ყველაზე მაგარი იცით რა არის? მეც კი მემესიჯებიან ჩემი სახელით. იციან, რომ მე ვარ და მწერენ. ანი, ჩვენ შენი სახელით გავხსენით გვერდიო. კარგი, გახსენით, რა მოხდა-მეთქი. 34 ანი სირაძე მემესიჯება და მეც ვემესიჯები. მართლა რთულია ჩემი გაბრაზება, მაგრამ თუ გავბრაზდი, ძალიან ცუდად ვბრაზდები, თუმცა თავმოყვარეობას არ ვკარგავ.

***– ანი, სხვა კომპოზიტორების სიმღერებს თუ იმღერებთ?***

– კი, როგორ არა. ანრის სიმღერები მაქვს რამდენიმე ჩაწერილი, გია ყანჩელის ნაწარმოებებიც მაქვს.

***– თვითონ სიმღერა დაგიწერიათ?***

– კი, ევროვიზიაზე რომ გამოვდიოდი, მომიწია სიმღერის დაწერა. მელოდია მოვიფიქრე, მაგრამ მთლიანობაში დამეხმარა გიგა კუხიანიძის სტუდია. არანჟირება გამიკეთა, მელოდია დახვეწა და დაალაგა.

***– ძირითადად უცხოურ სიმღერებს რატომ მღერით?***

– იმიტომ, რომ უცხოური სიმღერები უფრო მიხდება. ვაფანატებ, ვგიჟდები და ჭკუა მეკეტება კრისტინა აგილერაზე. მისი რამდენიმე სიმღერა მაქვს ჩაწერილი და ახლაც ვფიქრობ, რომ შეიძლება კიდევ ერთი მისი სიმღერა ჩავწერო.

***– ქართულებს ვერ იხდენთ?***

– კი, ქართულებიც ბევრი მაქვს და უცხოურებიც, მაგრამ მაინც მგონია, რომ უცხოური უფრო ჩემი სტილია.

***– რა არ არის თქვენი სტილი?***

– ვთვლი, რომ არ არის ჩემი სტილი რეპი, მაგრამ მაგის მღერაც მომიწია. ევროვიზიისთვის ბეკად უნდა წასულიყო და მომიწია გარეპვა.

***– ქალაქური გიმღერიათ?***

– კი. ყველა სტილში მაქვს ნამღერი, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ყველაზე ძალიან მიყვარს სოული და ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს. მიმაჩნია, რომ ყველაზე მეტად მიხდება სოული.

***– როკი?***

– როკთან არ ვარ ცუდად, მაგრამ მძიმე როკზე არ მაქვს საუბარი. ჯაზიც მიმღერია, ხალხურიც, სოულიც, როკიც, რეპიც.

***– ოპერა?***

– თქვენ წარმოიდგინეთ, ოპერაც მიმღერია. ერთი წელი ვსწავლობდი კლასიკურ ვოკალზე და გამოცდაზე რომ ვიმღერე, 10-იანი მივიღე.

***– რატომ დაანებეთ სწავლას თავი?***

– ვეღარ გავუძელი. არ მიყვარს, ძალიან არ მიყვარს კლასიკა. გადავედი სასცენო სასწავლებელში და იქ დავამთავრე. აშკარად ჩემი სტილი არ არის, მაგრამ ვისაც მოსმენილი ჰყავდა, ყველა მეუბნება, კლასიკას უფრო ბევრად კარგად მღერი, ვიდრე ესტრადას, ცოდო ხარ ესტრადაზე.

***– იქნებ გადაიფიქროთ?***

– დედაჩემსაც მაგის იმედი აქვს, მაგრამ რაღაც არა მგონია.

# 17 წლის ვარსკვლავმა კარიერა იუთუბით დაიწყო

**ჯასტინ დრიუ ბიბერი – კანადელი პოპმომღერალი. მისი კარიერა დაიწყო ინტერნეტით, როდესაც 2007 წლიდან მან საკუთარი ვიდეოების იუთუბზე გამოქვეყნება დაიწყო. ის მოგვიანებით აღმოაჩინა პროდიუსერმა სკუტერ ბრაუნმა, რომელმაც სანამ ბიბერი ხელს „აისლანდ რეკორდსთან"-თან მოაწერდა, რჩევა მომღერალ აშერს ჰკითხა. საგულისხმოა, რომ ბიბერმა თავისით ისწავლა დაკვრა პიანინოზე, დასარტყამ ინსტრუმენტებზე, გიტარაზე და საყვირზე.**

## ბიოგრაფია

ჯასტინ ბიბერი 1994 წლის 1 მარტს სტრეტფორდში, კანადის პროვინცია ონტარიოში დაიბადა. მუსიკალური მონაცემები ჯასტინს მშობლებისგან გამოჰყვა – მამა, ჯერემი ბიბერი, გიტარაზე დაკვრით იყო გატაცებული, ხოლო დედა, პეტი მალეტე, რომელსაც რამდენიმე ხნის წინ ჟურნალმა „ფლეიბოიმ" შიშველი ფოტოსესიის მოწყობისთვის საკმაოდ საინტერესო ჰონორარი შესთავაზა, ერთ დროს იმედისმომცემ ვოკალისტად ითვლებოდა.

რთული დასაჯერებელია, რომ სიმღერით ჯასტინი სულ რამდენიმე წელია, რაც დაინტერესდა, მით უმეტეს, რომ 2 წლის ასაკიდან იგი ინტერესს ავლენდა სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის, განსაკუთრებით კი დასარტყამი ინსტრუმენტების მიმართ. ბავშვობაში იგი მუსიკის გაკვეთილებზეც დადიოდა და ამჟამად მას პროფესიონალურ დონეზე შეუძლია დაკვრა დასარტყამ, სიმებიან და კლავიშებიან ინსტრუმენტებზე. 12 წლის ასაკში ჯასტინმა მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ ვოკალურ კონკურსში „სტრეტფორდ აიდოლი" და, მიუხედავად იმისა, რომ მისი კონკურენტები კონკურსამდე სერიოზულად იყვნენ დაკავებულნი მუსიკით, ხოლო ჯასტინი მხოლოდ დედის მეთვალყურეობის ქვეშ, სახლში მღეროდა, მან მეორე ადგილის დაკავება მოახერხა. იმავე პერიოდში ახალი გახსნილი იყო ინტერნეტ პორტალი იუთუბი, სადაც სხვადასხვა კატეგორიის ვიდეოფაილების განთავსება იყო შესაძლებელი. სწორედ ამ საიტზე განათავსა ჯასტინის დედამ სახლში გადაღებული რამდენიმე სამოყვარულო მუსიკალური რგოლი. ამ რგოლებს ძალიან მალე გაუჩნდა თაყვანისმცემელთა მთელი არმია, რომლებიც ჯერ კიდევ 2007 წელს ამტკიცებდნენ, რომ ჯასტინ ბიბერი მსოფლიო დონის ვარსკვლავი გახდებოდა.

## კარიერა

სწორედ იუთუბიდან დაინტერესდა მენეჯერი და პროდიუსერი სკუტერ ბრაუნი ჯასტინით. მალევე ინტერნეტის საშუალებით ბიბერების ოჯახს დაუკავშირდა და თანამშრომლობა შესთავაზა. იმავე წელს ჯასტინი ბრაუნთან ერთად ატლანტაში გაემგზავრა, სადაც ცნობილი რეპერი და პროდიუსერი აშერი გაიცნო. მიუხედავად იმისა, რომ ჯასტინი აშერთან შეხვედრის დროს 13 წლის იყო, ვარსკვლავმა ირწმუნა მისი ნიჭი და აღფრთოვანებული დარჩა მისი ვოკალური შესაძლებლობებით. აშერთან ერთად ჯასტინი „აისლანდ რეკორდსში" მივიდა, სადაც თინეიჯერ მომღერალს მოუსმინეს და 2008 წელს პირველი ოფიციალური კონტრაქტი გაუფორმეს. საინტერესოა, რომ კონტრაქტის მიხედვით, ჯასტინს თვითონ უნდა გადაეწყვიტა, ვისთან სურდა თანამშრომლობა – აშერთან თუ ჯასტინ ტიმბერლეიკთან. საბოლოოდ ჯასტინმა აშერთან თანამშრომლობა არჩია და როგორც მუსიკალური ექსპერტები წერენ, მან სწორი არჩევანი გააკეთა. იმავე წელს ჯასტინ ბიბერი აშშ–ის ყველაზე იმედისმომცემ პოპშემსრულებლად დაასახელეს, ხოლო მსოფლიოში მას „თინეიჯერ მომღერალ სენსაციას" უწოდებდნენ.

2009 წელს ჯასტინ ბიბერმა პირველი სინგლი – „ერთი დრო" გამოუშვა, რაც უმალვე გახდა მსოფლიო დონის ჰიტი. მისი არანორმალური ფანიგოგონები ჩხუბობდნენ კიდეც მუსიკალურ მაღაზიებში, რათა დაესწროთ ერთმანეთისთვის სინგლის შეძენა, რომელიც გამოსვლისთანავე დეფიციტური გახდა. გამოსვლიდან ორ კვირაში სინგლმა მე-12 ადგილი დაიკავა კანადის ცხელ პოპ-ასეულში, ხოლო პირველი ალბომი, სახელწოდებით „ჩემი ქვეყანა", ჯასტინ ბიბერმა 2009 წლის შემოდგომაზე გამოუშვა. ალბომმა მალე მოიპოვა პოპულარობა თინეიჯერებს შორის, ხოლო კლიპებმა სიმღერებზე „ერთი დრო" და „ერთით ნაკლები მარტოხეკა გოგონა", მტვ–ის ჰიტ-აღლუმები დაიპყრეს.

2010 წლის მარტში გამოვიდა ჯასტინ ბიბერის პირველი ალბომის სრული ვერსია, რომელსაც წინ უძღოდა სინგლისა და კლიპის – „ჩვილი" გამოსვლა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ააფეთქა მუსიკალური ჰიტაღლუმები. კლიპი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მარტო იუთუბზე 250 მილიონმა ადამიანმა ნახა, რითაც ვებგვერდის რეკორდი დაამყარა და წინა რეკორდის მფლობელი ლედი გაგა მნიშვნელოვნად ჩამოიტოვა. აღსანიშნავია, რომ ჯასტინ ბიბერი გახდა პირველი პოპშემსრულებელი, რომლის ერთდროულად შვიდი სიმღერა ამერიკის ყველაზე პრესტიჟულ ჩარტში – „ბილბორდ ტოპ 100-ში" მოხვდა.

## სხვადასხვა

ბიბერი არის ყველაზე პატარა ვარსკვლავი, რომლის შესახებ მხატვრულ ფილმს იღებენ. ფილმის რეჟისორი, ჯონ ჩუაა, რომელიც ავტორია პოპულარული ფილმების „ნაბიჯი წინ 2" და „ნაბიჯი წინ 3". ფილმის გადაღებები ჯასტინის კონცერტების დროს,





კულისებში და სცენაზე მიმდინარეობს. ვარაუდობენ, რომ ფილმი, ჯასტინის ალბომების მსგავსად, წარმატებული გახდება. სხვათა შორის, ჯასტინის ჰობი ფილმების ყურებაა და მისი უსაყვარლესი ფილმებია: „მერვე მილი" და „ეშმაკის განდევნა ემილი როუზიდან". გარდა ამისა, თავისუფალ დროს ჯასტინს უყვარს ფეხბურთის, გოლფის, ჰოკეის თამაში, სკეიტბორდით სრიალი და თაყვანისმცემლებთან ურთიერთობა სოციალური ქსელებით – „ფეისბუქისა" და „ტვიტერის" დახმარებით.

გარდა მუსიკისა, ჯასტინ ბიბერის სახელი კოსმეტიკურ საშუალებებსა და სუნამოებსაც უკავშირდება. კერძოდ, 2011 წლის მარტში გასაყიდად გამოვა ქალებისთვის განკუთვნილი სუნამო, რომლის შექმნაში ჯასტინსაც აქვს მონაწილეობა მიღებული, ხოლო იმავე წლის ზაფხულში გაიყიდება ფრჩხილების ლაკი, რომელიც ჯასტინის კომპოზიციების სახელს ატარებს.

2011 წლის 14 თებერვალს გამოვიდა ფილმი ჯასტინის მონაწილეობით – „ჯასტინ ბიბერი: არასოდეს თქვა არასოდეს". იგი ასახავს მომღერლის ცხოვრებას, მოღვაწეობას, ჰობის. ასევე ფილმში მაყურებელი იხილავს მისი კონცერტების ნაწყვეტებს.

მომღერალი საკმაოდ პოპულარულია თანატოლ გოგონებში, თუმცა ვარსკვლავმა ასევე ვარსკვლავი, 19 წლის სელენა გომესი შეიყვარა და ჰოლივუდში საკმაოდ ცნობილი წყვილი გახდა. საუბარი იყო მათ ქორწინებაზეც. ისინი ერთმანეთს 2010 წლიდან ხვდებიან, თუმცა სრულიად მოულოდნელად ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი ერთმანეთს შორდებიან.

დაშორების მიზეზი ჯასტინის ასაკია. 17 წლის მომღერალს თავისი მეორე ნახევრისგან სრულიად განსხვავებული სურვილები და ცხოვრების წესი აქვს.

– სელენა იმედგაცრუებულია. დროის უმეტეს ნაწილს ისინი ცალცალკე ატარებენ. მათ ურთიერთობაში ყველაფერი ისე არაა, როგორც საჭიროა. ყველაფერი, რაც ჯასტინს სჭირდება, ვიდეოთამაშები და ფილმებია, ხოლო სელენა უკვე ჩამოყალიბებული ქალია და მას გვერდით მამა-



კაცი სჭირდება, რომელიც მასზე იზრუნებს, საჩუქრებით გაანებივრებს და რომანტიკულ ვახშმებსაც მოუწყობს, – აცხადებს სელენას ძალიან ახლო მეგობარი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა მოითხოვა, ამერიკულ პრესაში.

ეს მათი მეორე დაშორებაა, პირველი მართალია ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ როგორც ჩანს, გარკვეული დაღი მაინც დაასვა. საქმე ის არის, რომ რამდენიმე თვის წინ ჯასტინს კრიმინალური წარსულის მქონე რეპერ შონ კინგსტონისა და მომღერალ რიანას ცემით ცნობილი კრის ბრაუნის გარემოცვაში ხშირად ხედავენ. როდესაც ამ ფაქტის შესახებ სელენამ შეიტყო, ჯასტინს სთხოვა, მათთვის თავი აერიდებინა, მაგრამ ბიბერმა მისი რჩევა არ გაითვალისწინა. მაშინ წყვილმა ზაფხული ცალ–ცალკე გაატარა, მაგრამ შერიგდნენ, თუმცა როგორც ჩანს, მათ ურთიერთობას დიდი დღე არ უწერია.

ახლო მომავალში სელენა და ჯასტინი თავიანთ ურთიერთობაზე კომენტარის გაკეთებას აპირებენ.

მიუხედავად უზრუნველი ცხოვრებისა, ცხადია, როგორც ვარსკვლავს, პრობლემა ჯასტინსაც აქვს. ბიბერმა, რომელიც მოზარდების კანის მოვლის საშუალებას უწევს რეკლამას, საკუთარი დამსაქმებელი დაალალატა. მომღერალს კონტრაქტით სახეზე გამონაყარის საწინააღმდეგო სხვა საშუალებით სარგებლობა ეკრძალებოდა, პაპარაცებმა კი სწორედ მაშინ შენიშნეს, როდესაც პრობლემური კანის მოვლის სხვა საშუალებას ყიდულობდა.

ამ დღეებში თაყვანისმცემლებთან შეხვედრის დროს პოპვარსკვლავს ზურგჩანთიდან კანის მოვლისთვის განკუთვნილი პრეპარატი ამოუვარდა. მართალია, მომღერალმა მისი დამალვა მალევე მოასწრო, მაგრამ ხელმარჯვე პაპარაცებმა მაინც მოასწრეს ამ პრეპარატით ბიბერის გადაღება.

აღმოჩნდა, რომ ჯასტინს ამ პრეპარატის გამოყენება სან-დიეგოს კალიფორნიულ სამედიცინო ცენტრში ურჩიეს, სადაც მომღერალი ჯანმრთელობის პრობლემების გამო იმყოფებოდა. დატვირთული ვარსკვლავური ცხოვრება მოზარდის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. გავრცელებული ხმებით, ბიბერის კანმა მუდმივი გრიმის გამო ჯანსაღი ელფერი დაკარგა, შედეგად მომღერალს სახეზე გამონაყარი გაუჩნდა.

იმის გამო, რომ თინეიჯერების კერპს გამუდმებით გრიმის გამოყენება არ შეუძლია, ის იძულებულია დახმარებისთვის ექიმებს მიმართოს. მოწყობილობა, რომელიც ბიბერს ჩანთიდან ამოუვარდა, ულტრაიისფერი ზემოქმედების გზით სქესობრივი მომწიფების უარყოფითი შედეგებისგან სწრაფად თავის დაღწევის საშუალებას იძლევა, შედეგად კანი სულ რაღაც რამდენიმე საათში ჯანსაღ მდგომარეობას უბრუნდება.

პრესაში გავრცელებული ფოტოების ნახვის შემდეგ კომპანიამ, რომელმაც მომღერალთან მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, პირობების დარღვევის გამო, თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა. მაგრამ ბიბერს რამდენიმე მილიონი დოლარის დაკარგვა არ სურს, ამიტომ ის საკუთარ მენეჯერებთან ერთად შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ეძებს. თანხა განსაკარგად მან უკვე მშობლებს გადასცა. თუმცა კონტრაქტორი კომპანია უკან დახევას არ აპირებს და პოპვარსკვლავს სასამართლოთი და პატიმრობით ემუქრება.

თანხის დაკარგვა და მისი კაპიტალის გაზრდა რომ სურს მომღერალს, ისიც მეტყველებს, რომ 17 წლის პოპვარსკვლავმა ნაყინის გამოშვება დაიწყო, რომლის ღირებულება 20 ევროა. ნაყინი სახელწოდებით „ბიბერის დიდება" ლონდონში მდებარე ფირმამ ნაყინის სალონმა გამოუშვა. ნაყინის შეძენის შემთხვევაში, საჩუქრად ბიბერის ავტოგრაფსაც მიიღებთ.

ნაყინი კენკროვანი ხილით, ვანილითა და მსხლის ნაჭრებით არის გაფორმებული. აღმოჩნდა, რომ ბიბერს ბავშვობაში ტკბილეული ძალიან ჰყვარებია და ნაყინის გამოშვების იდეაც ამიტომ გაუჩნდა.

კანადელი თინეიჯერი ვარსკვლავი ჯასტინ ბიბერი ცხოველებითაც არის გატაცებული და თანაც მტაცებელი ცხოველებით „ერთობა". ბრაზილიაში ყოფნისას, გარდა საკონცერტო გამოსვლებისა, მომღერალმა ზოოპარკიც დაათვალიერა და საკმაოდ ეგზოტიკური თეთრი ვეფხვი შეიძინა. მართალია, ჯასტინი თავისი იუმორით არის ცნობილი, თუმცა ამჯერად სულაც არ ხუმრობს.

– შეხედეთ, ამ წუთას რა ვიყიდე! – დაწერა ვარსკვლავმა თავის „ტვიტერზე" და ცხოველის ფოტოც გამოაქვეყნა. ვარაუდობენ, რომ ჯასტინი ეგზოტიკურ თეთრ ვეფხვს შოუების ნაწილად აქცევს.

მიუხედავად თინეიჯერული ასაკისა, ჯასტინს არცთუ იშვიათად პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმაც უწევს. თინეიჯერების კანადელმა კერპმა ჯასტინ ბიბერმა მტკიცე ხასიათი გამოავლინა და ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს ვახშამზე უარი უთხრა, რადგან ეს ფაქტი პოლიტიკურ სპეკულაციად შეაფასა.

როდესაც ბიბერი ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში კონცერტის ჩასატარებლად ჩავიდა, ნეთანიაჰუს შეხვედრა თავად შესთავაზა. შეხვედრაზე მას ახალგაზრდების პრობლემებზე საუბარი სურდა, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ნეთანიაჰუმ ამ შეხვედრისთვის ოფიციალური სახის მიცემა გადაწყვიტა, რის გამოც მოვლენამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო, ჯასტინმა გადაწყვიტა პრემიერ-მინისტრისთვის შეხვედრაზე უარი ეთქვა. სამაგიეროდ, თავის კონცერტზე ღაზას სექტორში მცხოვრები ბავშვები მიიწვია.

ამასთან, ბიბერი ებრაელმა პაპარაცებმაც გააღიზიანა, რომლებმაც წმინდა ადგილების დათვალიერების საშუალება არ მისცეს, ისინი ვარსკვლავს ფეხდაფეხ დაყვებოდნენ და ფოტოებს უღებდნენ. ბიბერმა სოციალურ ქსელ „ტვიტერზე" დაწერა:

– მესმის, როცა მაშინ მიღებენ, როცა ქალაქში ვსეირნობ ან ვჭამ, მაგრამ ეკლესიებში სურათების გადაღება უკვე მეტისმეტია, ებრაელი პაპარაცები ყველაზე უნამუსოები არიან.

„ტელეგრაფის" ვერსიით, ბენიამინ ნეტანიაჰუმ ჯასტინ ბიბერთან შეხვედრა მას შემდეგ გადადო, რაც კანადელმა 17 წლის პოპვარსკვლავმა საკუთარ „ტვიტერზე" „პოლიტიკაში მისი ჩათრევის" მცდელობის შესახებ დაიჩივლა.

როგორც ბიბერის წარმომადგენელმა სკუტერ ბრაუნმა განაცხადა, მათ არასდროს უთხოვიათ ნეტანიაჰუსთან შეხვედრა და არც მათთვის მიუმართავს ვინმეს მსგავსი წინადადებით.

ნეტანიაჰუს პრესსამსახურში კი აღნიშნეს, რომ შეხვედრის საკითხი ბიბერის წარმომადგენლებმა წამოჭრეს და ნეთანიაჰუ შეხვედრის წინააღმდეგი არ იყო.

მარტში კი 16 წლის ვარსკვლავს ჯასტინ ბიბერს, მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების თხოვნით, მადამ ტიუსოს მუზეუმში ცვილის ფიგურას დაუდგეს.

– ჯასტინ ბიბერი მართლაც მსოფლიო სენსაციაა და ღირსია, მისმა ფიგურამ მუზეუმი დაამშვენოს, – განაცხადა მადამ ტიუსოს მუზეუმის დირექტორმა ლიზ ედვარდსმა.

ბიბერის პირველი ცვილის ფიგურას ლონდონში, მადამ ტიუსოს მუზეუმსა და ამსტერდამის მუზეუმში ერთდროულად დადგეს, ხოლო ნიუ-იორკის მუზეუმში ფიგურა რამდენიმე დღის დაგვიანებით მიიტანეს.

ქალაქ ფორნიში, ჯასტინ ბიბერის სახელობის ქუჩა არსებობს. ქუჩის დაარსების ინიციატორი 11 წლის ტეხასელი კეროლაინ გონსალესია, რომელმაც კონკურსში „მერი ერთი დღით" გამარჯვების შემდეგ, გოგონამ ერთ-ერთ ქუჩას საყვარელი მომღერლის სახელი უწოდა.

– ძალიან მომწონს ჯასტინის სიმღერები. თავად ჯასტინიც ძალიან მომწონს. ჰოდა ვიფიქრე, რატომ არ უნდა არსებობდეს ჩემს ქალაქში, ჩემი საყვარელი მომღერლის ქუჩა? – განაცხადა ერთდღიანმა მერმა, რომელსაც ვერავინ შეეწინააღმდეგა.

*მოამზადა მიხეილ ყორღოლიანმა*

## ლევან გვაზავასთვის გმირი რამზან კადიროვია

გროზნოს „ტერეკის“ ნახევარმცველმა ლევან გვაზავამ კლუბის ვებგვერდთან საუბარში განაცხადა, რომ მისთვის ჩვენი დროის გმირი ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რამზან კადიროვია.

***– წარმოშობით საიდან ხართ? დიდი ოჯახი გაქვთ?***

– წარმოშობით საქართველოდან ვარ. ხობში დავიბადე და გავიზარდე, რომელიც აფხაზეთთან ახლოს არის. 15 წლის ასაკამდე იქ ვსწავლობდი სპორტსკოლაში. მეუღლე და ორი ბიჭი მყავს.

***– საქართველოში ნათესავებს ხშირად ნახულობთ?***

– ზამთრის შესვენებისას იქ ხშირად ჩავდივარ მშობლების, მეგობრებისა და ნაცნობების სანახავად.

***– ფეხბურთში თქვენი პირველი ნაბიჯებს როგორ გაიხსენებთ?***

– ერთხელ სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილზე ფეხბურთს ვთამაშობდით. მასწავლებელმა შემამჩნია, მშობლები დაიბარა და ურჩია, რომ საფეხბურთო სპორტსკოლაში მივეყვანე. სპორტსკოლაში ვარჯიში ჭიდაობაში დავიწყე, მაგრამ ფეხბურთი უფრო მომწონდა. საბოლოოდ, არჩევანი ფეხბურთის სასარგებლოდ გავაკეთე და მწვრთნელმაც მომიწონა გადაწყვეტილება.

***– პირველი მწვრთნელი გახსოვთ?***

– რა თქმა უნდა. ისე ხდებოდა, რომ ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლის



დროს მწვრთნელები იცვლებოდნენ. პირველი მწვრთნელი ლევან ლემონჯავა იყო. ძალიან ბევრი გააკეთა ჩემთვის პაატა თათარაშვილმა, რომელიც სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ეს ადამიანი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ვერ გავხდებოდი ის ლევან გვაზავა, რომელსაც თქვენ იცნობთ. მისი ძალიან მადლობელი ვარ. ასევე, ლევან ნოდიასთანაც ვვარჯიშობდი.

***– თავიდანვე ნახევარმცველი იყავით თუ სხვა ამპლუაში თამაშობდით?***

– თამაში ცენტრალურ ნახევარმცველად დავიწყე და მას მერე ამ პოზიციაზე ვთამაშობ.

***– რომელი ფეხბურთელის სათამაშო მანერა მოგწონდათ და ვის გსურთ, რომ ჰგავდეთ?***

– ყოველთვის მსურდა, ზიდანის მსგავს მანერაში მეთამაშა. ვცდილობდი, „რეალის“ ყველა მატჩი მენახა, რომ მის თამაშს დავკვირვებოდი.

***– პირველი კონტრაქტი რამდენი წლის ასაკში გააფორმეთ?***

– 15 წლის ვიყავი, როდესაც კონტრაქტი ხობის „კოლხეთთან“ გავაფორმე. იქ წელიწადნახევარი ვითამაშე და უკრაინაში წავედი, ზაპოროჟიეს „მეტალურგში“, საიდანაც კიშინიოვის „ზიმბრუში“ გადავედი.

***– მოლდოვურ კლუბში თამაში რით დაგამახსოვრდათ?***

– ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და „ზიმბრუში“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებში ვითამაშე. გოლიც კი გავიტანე. ამ ასაკში ასეთ დონეზე თამაშით ძალიან ბედნიერი ვიყავი.

***– შემდეგ კავკასიაში დაბრუნდით და ვლადიკავკაზის „ალანიასა“ და „ნალჩიკში“ თამაშობდით. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობდა ნალჩიკური კლუბის ფენომენი, რომელიც მწირი ბიუჯეტის მიუხედავად კარგ ფეხბურთს აჩვენებდა?***

– უპირველესად, ეს მთავარი მწვრთნელის იური კრასნოჟანის დამსახურებაა. მას შეეძლო, გუნდი ყველასთვის უცნობი ფეხბურთელებისგან ჩამოეყალიბებინა. კრასნოჟანს შეუძლია თითოეულ მოთამაშეს გააგებინოს, თუ რა სურს მისგან. ბევრი რამ „ნალჩიკს“ სწორედ კრასნოჟანის ოსტატობის ხარჯზე გამოდიოდა.

***– თქვენს კარიერაში მომდევნო კლუბი ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგია“ იყო. ეს პერიოდი შორეული გადაფრენების გარდა კიდევ რით დაგამახსოვრდათ?***

– მხოლოდ გადაფრენები დამამახსოვრდა. ეს ხუმრობით, თორემ ვლადივოსტოკში ფეხბურთი ძალიან უყვართ და „ლუჩის“ საკლუბო ინფრასტრუქტურა კარგ დონეზეა. ყველაზე დიდი მინუსი შორეული და მომქანცველი გადაფრენებია. ყველაზე დამქანცველი ფრენის ბოლო საათია.

***– ფრენისას დრო როგორ გაგყავდათ?***

– ზოგს ეძინა, ზოგი ბანქოს თამაშობდა, ზოგი ფილმს უყურებდა. ასეთ დროს ვერ იხმაურებ, რადგან ვიღაცას დასვენება და ძილი სურს.

***– „ლუჩიდან“ „ტერეკში“ გადახვედით. გროზნოს კლუბში უპირველესად თვალში რა მოგხვდათ?***

– უპირველესად, გუნდის მიმართ „ტერეკის“ პრეზიდენტის რამზან კადიროვის დამოკიდებულება იყო შესამჩნევი. ეს ადამიანი ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია თავისი ხალხისთვის და გუნდისთვის. ჩანს, რომ სპორტი და ფეხბურთი უყვარს. მიკვირს, რომ უამრავი საქმის მიუხედავად, გუნდისთვის დროს პოულობს. რამზან კადიროვი ყველაფერს ასწრებს. უბრალოდ, გასაკვირია, რომ ასეთ ახალგაზრდა ასაკში ამდენ რამეს აკეთებს და წარმატებას აღწევს.

***– 22-ნომრიანი მაისური რატომ აირჩიეთ?***

– უბრალოდ, „ლუჩშიც“ ამ ნომრიანი მაისურით ვთამაშობდი. ისე, ნომერს ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ცრუმორწმუნე ადამიანი არ ვარ.

***– „ტერეკში“ მესამე სეზონს ატარებთ და ყველაზე მეტად რომელი თამაში დაგამახსოვრდათ?***

– „ზენიტთან“ მატჩი, რომელიც 3:2 მოვიგეთ.

***– მიმდინარე სეზონში „ტერეკი“ ახალ სტადიონზე თამაშობს და „ახმად-არენაზე“ რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?***

– ჩემი აზრით, ჩვენი სტადიონი რუსეთში ერთ-ერთი საუკეთესოა. „ახმად-არენა“ ბოლომდე რომ ივსებოდეს, იქ თამაში ორჯერ სასიამოვნო იქნებოდა. სამწუხაროდ, ალბათ, შევსებული სტადიონი არ დაგვიმსახურებია.

***– რუსეთის პრემიერლიგაში ბევრი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. მათთან თუ მეგობრობთ?***

– ყველას ვიცნობ. უფრო ახლო ურთიერთობა სირაძესთან, გოგუასთან და ამისულაშვილთან მაქვს. ჩვენ ერთად ნალჩიკის „სპარტაკში“ ვთამაშობდით.

***– კახა კალაძეს საკუთარი რესტორანი აქვს. ფეხბურთის გარდა, საკუთარი ძალების მოსინჯვა სხვა რამეში გსურთ?***

– სიმართლე გითხრათ, ფეხბურთი ისე მიყვარს, მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ვფიქრობ, კარიერის დასრულების შემდეგ სხვა საქმეზე გადართვა გამიჭირდება. ცხოვრება გვაჩვენებს. ამაზე არც მიფიქრია.

***– თქვენთვის ჩვენი დროის გმირი ვინაა?***

– რამზან კადიროვი. ასეთ ახალგაზრდა ასაკში ალბათ ჩეჩნეთისთვის ამდენს ვერავინ გააკეთებდა.

***– რომელი რუსი კომენტატორი მოგწონთ?***

– აღვნიშნავ გიორგი თვალთვაძეს. იყო კიდევ ასეთი კომენტატორი კოტე მახარაძე. მისი მოსმენა ძალიან მსიამოვნებდა. თამაშის ყურების დროს დამატებით ემოციას ვიღებდი.

– ალბათ, ზედმეტია იმის კითხვა ლეკურის ცეკვა იცით თუ არა. რა უნდა მოხდეს, რომ მოედანზე იცეკვოთ?

– წელს დასახული ამოცანა რომ შეგვესრულებინა და პირველ რვა გუნდს შორის მოვხვედრილიყავით, ალბათ ვიცეკვებდი კიდეც. ახლა კი, ნამდვილად არ ვიცი.

## სამშაბათის ასიანთა კლუბი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

– კარგად მახსოვს ჩემი პირველი მატჩი 1996 წელს ნორვეგიელებთან ამხანაგური შეხვედრისას. ჩემთვის მოულოდნელი იყო, როდესაც ალექსანდრე ჩივაძემ ძირითად შემადგენლობაში დამაყენა. მართალია, ცოტა შებოჭილი ვიყავი, მაგრამ გასახდელში დიდი მხარდაჭერა დავინახე გუნდის წევრებისგან. ერთი წლის შემდეგ იტალიელებთან 0:0 ვითამაშეთ. სიმართლე გითხრათ, ჭკუიდან კინაღამ გადავედი, როდესაც პირველად „სკუადრა აძურას“ შევეფეთე. მატჩისწინა ვარჯიშზე მოთელვის ნაცვლად ჩემს ოპონენტებს ვუყურებდი, ლეგენდარულ ფეხბურთელებს. თუმცა, როგორც კი თამაში დაიწყო, ეს ყველაფერი გაქრა.

კობიაშვილი კმაყოფილია, რომ ნაკრებს ასე დიდხანს ემსახურა და კარგად აქვს გათვითცნობიერებული ყველა იმ ფეხბურთელის, რომლებმაც უეფასგან სპეციალური ჯილდო მიიღეს.

– სამშაბათს, ბერძნებთან მატჩის წინ, ბოლომდე გავათვითცნობიერე ყველა იმ ფეხბურთელის გრძნობა, რომლებმაც ეს ჯილდო მიიღეს, ან მომავალში მიიღებენ. ძალიან ბედნიერი ვარ და ეს ემოცია მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ეს ჯილდო ყველას ეკუთვნის, ვინც ამ 15 წლის მანძილზე გვერდით მედგა და ჩემთან ერთად მუშაობდნენ ნაკრებში – მათი დიდი მადლობელი ვარ.

## გია მეგრელაძე იღბალს უჩივის

ქუთაისის „ტორპედოს“ 33 წლის თავდამსხმელი გია მეგრელაძე საფეხბურთო ოჯახიდანაა. მამამისი, წარსულში ცნობილი ბომბარდირი მერაბ მეგრელაძე 41 წლის იყო, როცა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ბოლო მატჩი ჩაატარა. გია მამის ტრადიციას არ ღალატობს, მაგრამ როგორც ამბობს, ამ კომპონენტში მამასთან შეჯიბრს არ აპირებს.

პირველივე თამაში, რომელშიც მას მწვრთნელები ეროვნულ ჩემპიონატში ქუთაისური გუნდის მაისურით გამოსვლის ნებას დართავენ, გია მეგრელაძისთვის უმაღლეს ლიგაში ჩატარებული 250-ე მატჩი იქნება. 1993 წლიდან შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელისთვის, ეს რიცხვი შეიძლება რეკორდული არ იყოს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარკვეული პერიოდი გია საზღვარგარეთ თამაშობდა და 5 ქვეყნის ჩემპიონატში მიუღია მონაწილეობა.

„ტორპედოს“ ვებგვერდზე მეგრელაძესთან ინტერვიუ გამოქვეყნდა.



***– ჩვენს ჩემპიონატში დებიუტი საკმაოდ ადრეულ ასაკში მოგიწიათ. თუ გაიხსენებთ იმ შეხვედრას?***

– მახსოვს, რომ 15 წლის ვიყავი. წყალტუბოს „სამგურალში“ ვთამაშობდი და პირველი თამაში ბათუმის „დინამოსთან“ მომიწია. თემურ სვანაძემ შეცვლაზე შემიყვანა, მომავალ ტურში კი, რომელშიც ლანჩხუთში გავდიოდით, თავიდანვე დამაყენა და 2 გოლი გავიტანე. „გურიასთან“ ის თამაში წავაგეთ, მაგრამ ჩემთვის პირველი გოლები იყო და მაინც კარგად დამამახსოვრდა.

***– როგორც გვსმენია, ჩვენთან პირველ ჩემპიონატებში უფრო მაღალი დონე იყო. ამიტომ 15 წლის ბიჭისთვის ნდობის გამოცხადება ცოტა მოულოდნელია – წლები ხომ არ გაქვთ მოკლებული?***

– ნეტა მართლა მომეკლო ეს წლები, ახლა ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ალბათ ამჩნევთ, საქართველოში 30 წელს თუ გადაშორდა ფეხბურთელი, უკვე მისკენ არავინ იხედება. ამაზე ერთი ენამოსწრებული ნათქვამი მახსენდება. ერთ ქართველ ფეხბურთელს უთქვამს – ასაკი მოვიკლო კი არა, ნეტა მომამატებინა და ამ ფეხბურთისთვის თავი დამანებებინაო. კითხვის პირველ ნაწილზე კი ასე გიპასუხებთ. მთლად ასე იოლიც არ იყო მაშინ ჩემთვის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა. „სამგურალის“ შემდეგ ნახევარი წელი ოზურგეთის „მერცხალში“ გადავედი, რომელიც პირველ ლიგაში გამოდიოდა. მერე რეზო ბურკაძემ „ტორპედოში“ მიმიწვია და სანამ ჩემპიონი არ გახდა ჩვენი გუნდი (2000 წელს), მანამდე აქ ვითამაშე.

***– პენალტებს იშვიათად ურტყამთ, მაშინაც კი, როცა ამის შანსი თასის მატჩის შემდგომ სერიაში გეძლევათ.***

– ბედი მაქვს ისეთი, არასდროს არ მომიწია ამის გაკეთება. 1999 წელს, „ტორპედო“ თასის ფინალში ჩემს პირველ გუნდს „სამგურალს“ შეხვდა და ისე მოვიგეთ პენალტების სერიაში (4:2), ჩემს დარტყმას აზრი აღარ ჰქონდა. კიდევ ერთ ფინალში უნდა დამერტყა, მაგრამ არც მაშინ მომიწია. რუსთავის „ოლიმპში“ ვთამაშობდი და 2009 წელს თბილისის „დინამოსთან“ წავაგეთ პენალტებში (0:2). ბოლოს მე უნდა დამერტყა, მაგრამ რაღა აზრი ჰქონდა.

***– თასის ფინალებში მართლაც არ გიმართლებთ. მხოლოდ პირველში მოიგო თქვენმა გუნდმა თასი, მას შემდეგ 3-ჯერ წააგეთ.***

– სამწუხაროდ, ასეა. 2000-ში „ლოკომოტივთან“ წავაგე „ტორპედოში“, „ოლიმპზე“ უკვე ვთქვით და ბოლოს, წლევანდელი თასის ფინალი – ისიც „ტორპედოს“ შემადგენლობაში, რომელიც „გაგრასთან“ წავაგეთ.

***– გია, სხვადასხვა დროს საბერძნეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და უზბეკეთში გითამაშიათ. მათგან რომელი ქვეყნის ჩემპიონატს გამოჰყოფდით?***

– ჩემი თამაშით კმაყოფილი ყველაზე მეტად უზბეკეთში დავრჩი. ამ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან სწორედ ამ ქვეყანაში იყო ჩემი იქ ყოფნისას ფეხბურთის ბუმი. რაც არ უნდა იყოს, ბრაზილიელი რივალდო თამაშობდა იქ და ბევრი სხვა სახელიანი უცხოელიც. იქ რომ ფული იდებოდა ფეხბურთში, ალბათ ჩვენთან კიდევ კარგა ხანს არ იქნება.

***– შესაბამისად, ალბათ დასწრებაც ბევრი ექნებოდა იქაურ ჩემპიონატს.***

– ხშირად მითამაშია სავსე ტრიბუნების წინაშე, მაგრამ უზბეკეთში რომ დასწრება იყო, ასეთს სხვაგან ვერ ვიხსენებ. მიკვირდა კიდეც, როგორ ახერხებდნენ ასეთ არასაფეხბურთო ქვეყანაში მაყურებლის სტადიონზე მოზიდვას. დონეც, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ჩვენზე მაღალია. ალბათ ისევ მაღალი დონის უცხოელების ხარჯზე. გუნდში მწვრთნელად სკოლარი და ფეხბურთელად რივალდო რომ გეყოლება, ე.ი. საკლუბო ინფრასტრუქტურაზეც იზრუნებ.

***– გულშემატკივარს არც ქუთაისში თამაშისას უნდა ემდუროდეთ. საქართველოში „ტორპედოს“ ყველაზე მრავალრიცხოვანი ქომაგი ჰყავს.***

– რა თქმა უნდა, შედარებაც არაა საჭირო. ჩვენ გულშემატკივარს ხშირად დიდი გავლენა შეუძლია მოახდინოს გუნდის თამაშზე. მიხარია, რომ „ტორპედოს“ ასეთი ქომაგი ჰყავს. ისინი თასის წლევანდელ ფინალშიც ძალიან გვიწყობდნენ თავიანთი მხარდაჭერით ხელს, მაგრამ ჩვენზე მეტად მეტოქეს გაუმართლა.

***– დღევანდელ „ტორპედოზე“ ვთქვათ. გუნდში გია გეგუჩაძის სახით ახალი მთავარი მწვრთნელია და ალბათ საქმისადმი მიდგომა ცოტათი სხვაგვარი გახდა.***

– გუნდში ძალიან ნორმალური სიტუაციაა. კარგი განწყობით ვემზადებით, თუმცა ყველა მწვრთნელს თავისი მეთოდები აქვს და ახალი გუნდის მუშაობის სტილი ჩემთვის ბოლომდე მისაღებია. ახლავე ჩემპიონები გავხდებითო, ასეთი ჩვენთვის არავის უთქვამს, მაგრამ ყველაფერი თანდათანობით რომ იქნება, დარწმუნებული ვარ.

***– ეროვნული ჩემპიონატის ისტორიის ბომბარდირთა სამეულში ხართ, მაგრამ აქამდე სეზონის საუკეთესო ბომბარდირი არ გამხდარხარ.***

– გოლების გატანაში არავის ვეჯიბრები. ჩემთვის ყოველთვის მთავარი იყო და არის, რომ გუნდმა მოიგოს. იღბალიც არ მწყალობდა. „დინამოში“ თამაშისას, მე და ჩემს თანაგუნდელ ჯაბა დვალს, ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე 14-14 გოლი გვქონდა გატანილი. მე ფეხი ვიტკინე, ჯაბამ კი ბოლო თამაშებში 7 გოლი შეაგდო და დამსახურებულად გახდა ბომბარდირი.

***– მეგრელაძეებს, ქართველებისთვის უნიკალური მიღწევა გეკუთვნით. მამა-შვილს ერთ გუნდში არაერთი მატჩი გითამაშიათ და გოლიც ორთავეს გაგიტანიათ. მამის რეკორდის მოხსნას ხომ არ აპირებთ, რომელმაც უმაღლეს ლიგაში 41 წლისა და 5 თვისამ ითამაშა.***

– არა მგონია. მაშინ სხვა დრო იყო. ფეხბურთელს თუ შეეძლო, ხომ ხედავთ, რა ასაკამდე ითამაშებდა. ახლა კი, ტელევიზორს ვერ ჩართავ ისე, ვინმემ არ თქვას, რომ აი, ხომ ხედავ, ეს ფეხბურთელი რა ხნისაა და რა დროს ამის თამაშიაო. მარტო საქართველოში გაიგონებ ასეთ რამეს კაცი – ფეხბურთელის ასაკის გამო ჩამოწერა ჩვენთან მოდაში შემოდის. ხედავთ, რა ასაკის თამაშობს ინგლისში გიგზი? მისთვის რომ რამდენიმე წლის უკან ვინმეს ეთქვა, შენ 30-ს გადაცდი და თავი უნდა დაანებო ფეხბურთის თამაშსო, უსამართლობა ხომ იქნებოდა? საქართველოში, სადაც დატვირთვები უცხოეთზე ბევრად ცოტაა, ფეხბურთელს სულ პასპორტში არ უნდა უყურებდნენ. არა მგონია ჩვენს ჩემპიონატში ვინმემ 13-14 კილომეტრს დარბოდეს ყოველ თამაშში, რაც ასაკიანი ფეხბურთელის ჯანმრთელობაზე ახდენდეს გავლენას.

***– მე-13 სეზონს თამაშობთ ეროვნულ ჩემპიონატზე და აქედან მეცხრეს „ტორპედოში“. ალბათ საკლუბო ინფრასტრუქტურის შედარება შეგეძლებათ – როგორი იყო იგი 90-იან წლებში და ახლა როგორია?***

– კი, როცა „ტორპედოში“ დავით ყიფიანი მუშაობდა, ფეხბურთელებს კარგ პირობებში გვიწევდა თამაში, მაგრამ ახლანდელს ვერ სჯობდა. ძალიან ბევრი კეთდება უშუალოდ ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. აშკარად ეტყობა, რომ კომპანია „ვისოლი“ სერიოზულადაა დაინტერესებული ქართული ფეხბურთის განვითარებით. „ტორპედოს“ სკოლებში ვარჯიშისას საოცარი მონდომებაა ბავშვებს შორის – სირბილი არავის ეზარება და ყველა მონდომებულია, რომ მწვრთნელს თავი უკეთესი თამაშით მოაწონოს.

***– გია, ბევრი გატანილი გოლით, მომავალი თაობის ბევრი ფეხბურთელისთვის კარგი მაგალითის მიმცემი ხართ. რას უსურვებთ მათ და რით დაარიგებდით?***

– შრომა არ დაიზარონ და ყოველდღიური დაუღალავი ვარჯიშით, აუცილებლად მიაღწევენ დასახულ მიზანს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შვილმა სიცოცხლე გამიმწარა



ქალბატონ ნანულის უკვე მეოთხედ უწევს თავისი ერთადერთი შვილის გამო სასამართლოში სირბილი. როგორც თავად ამბობს, შვილისთვის თავის დროზე არაფერი დაუკლია, თუმცა ვერაფრით მიხვდა, როდის აცდა გზას მისი ნებიერა ვაჟკაცი, რომელიც ყოველი დანაშაულის შემდეგ დედას ეფიცება, რომ ციხეში აღარასოდეს დაბრუნდება.

**ქალბატონი ნანული:**

– ჩემმა ერთადერთმა შვილმა, რომელიც ჩემთვის ყველაფერია, სიცოცხლე ნამდვილ სატანჯველს დამიმსგავსა. უკვე მეოთხედ მოხვდა სამართალდამცველების ხელში და ყველა დაჭერაზე სხვადასხვა დანაშაულში ედება ბრალი. გაგა ჩემთვის ყველაფერია, მის მზეს ვფიცულობ, დღესაც მჯერა, რომ ჩემი შვილი დანაშაულს სხვების წაქეზები

თ სჩადის, თუმცა ნათესავები მეუბნებიან, რომ დროა თვალი გავახილო და ვაღიარო, რომ ჩემი შვილი წესიერი ცხოვრების გზას საბოლოოდ აცდა.

შვილი ისე გავაჩინე, გათხოვილი არ ვყოფილვარ. ჩემი უფროსი სიგიჟემდე მიყვარდა, მან ეს ძალიან კარგად იცოდა და ჩემი გრძნობები გულგრილი არ დაუტოვებია. მისთვის არანაირი პასუხისმგებლობა არ დამიკისრებია. სანამ ჩემს ერთადერთ შვილს გავაჩენდი, ათასი განსაცდელი გადავიტანე – ჩემი უფროსის ცოლი ყოველდღე სკანდალებს მიწყობდა, ერთხელ ხელითაც კი შემეხო, მაგრამ ღვთის წყალობით მეც გადავრჩი და ჩემს შვილსაც მუცელში არაფერი დაუზიანდა.

გაგა რომ გავაჩინე, ჩემი უფროსი მის სანახავად მოვიდა, მაგრამ ბავშვი არ ვაჩვენე, არ მინდოდა, მისადმი რაღაც გრძნობა გასჩენოდა და მერე ჩვენს შორის ჩამდგარიყო. ჩემი შვილი ისე გაიზარდა, დღესაც არ იცის მამამისი ვინ არის, ან სად არის. მისთვის მამა უბრალოდ მკვდარია.

***– როდის ჩაიდინა თქვენმა შვილმა პირველი დანაშაული?***

– პირველი დანაშაული ჩემმა შვილმა კი არა, მე ჩავიდინე. გაგა 25 წლის რომ გახდა, სერიოზულად დავიწყე ნერვიულობა იმაზე, რომ ჩემი შვილი დასაოჯახებელი იყო. ბევრი მეუბნებოდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ბიჭისთვის ცოლის მოყვანა არასოდეს არის გვიანო, მაგრამ დღე და ღამე არ მეძინა იმაზე ფიქრით, რომ ჩემი ერთადერთი შვილი შეიძლება უცოლშვილოდ დარჩენილიყო.

იმ პერიოდში ჩვენს ეზოში ერთი ოჯახი გადმოვიდა. მათაც ერთადერთი შვილი ჰყავდათ – ქეთი. ულამაზესი გოგონა იყო, პატიოსანი და წესიერი. არ ვიცი, რა ჭია შემიჩნდა, მაგრამ გულში ჩავიდე, რომ გაგა და ქეთი ერთმანეთისთვის დამეახლოვებინა და გაგასთვის ყველანაირად ჩამეგონებინა, რომ ქეთიზე კარგ გოგოს ის ცხოვრებაში ვერ იპოვიდა.

***– შვილმა დაგიჯერათ?***

– გაგამ ყურადღებით მომისმინა, რამაც ძალიან გამაკვირვა. არაფერი უთქვამს, მხოლოდ შუბლზე მაკოცა და მითხრა, შენ ამ ქვეყნად ყველაზე წესიერი, ყველაზე ლამაზი და კარგი რძალი გეყოლებაო. მეც დავუჯერე. ერთ საღამოსაც ქეთი და გაგა ეზოში ერთად დავინახე. დედობრივი სიხარულით კინაღამ გული შემიწუხდა. ძალიან გახარებული ვიყავი, მაგრამ გაგასთვის არ მიგრძნობინებია, რომ ის ქეთისთან ერთად შევამჩნიე.

***– მათი ურთიერთობა როგორ წარიმართა?***

– გაგამ და ქეთიმ კარგა ხანს იარეს ერთად. ჩემთანაც მობჰყავდა სახლში, ძალიან ბედნიერი ვიყავი. როცა შვილს ვთხოვდი, საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო, რატომღაც ყოველთვის უკან იხევდა. მეუბნებოდა, ოჯახის შესაქმნელად მზად არ ვარო. მე კი ვაძალებდი, ვურჩევდი ქეთი ხელიდან არ გაეშვა და მე როგორც შემეძლებოდა, ყველანაირად გვერდში ამოვუდგებოდი.

***– შვილმა დაგიჯერათ?***

– კი, გაგამ ერთ დღესაც გამომიცხადა, ქეთის ცოლად მოყვანა გადავწყვიტეო. ძალიან გამიხარდა, უბედნიერესი ვიყავი. მეორე საღამოს ქეთის ოჯახში ავედით და მისი ხელი მის მშობლებს ოფიციალურად ვთხოვეთ. ქორწილის დღეც დავნიშნეთ და წამოვედით. მე ძალიან ბედნიერი ვჩანდი, აი ჩემი შვილი კი – არა. ქორწილამდე ყირაზე დავდექი, თუკი სადმე შემეძლო, ყველგან შევიგულე ადამიანები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ფულსაც კი მასესხებდნენ. დიდი ქორწილი გადავიხადეთ, ყველა ის ადამიანი დავპატიჟეთ, ვინც გულით გვინდოდა და ერთად კარგად გავერთეთ. იმ საღამოს გაგა თავისი მეგობრის გასაცილებლად სახლიდან გავიდა და მთელი ღამე მე

და ქეთიმ მის ლოდინში გავატარეთ. დილით სახლში მოვიდა, მაგრამ არავისთვის არაფერი უთქვამს. მიზეზი ისევ მე ვკითხე და მითხრა, ის მეგობარი აღარ მომეშვა, მასთან ავედი და იქ დავრჩიო.

***– ქეთიმ რა უთხრა?***

– ქეთის არაფერი უთქვამს. იმ გოგონამ ჩვენთან სულ ორი თვე იცხოვრა და ისე წავიდა, ერთი ზედმეტი სიტყვა არ უთქვამს. არც გაგას დაუწყია ჩემთვის რამის ახსნა. ისევ ისე გააგრძელა ცხოვრება, როგორც ქეთის მოსვლამდე. რა თქმა უნდა, ქეთი და მისი მშობლები ჩვენი უბნიდან გადავიდნენ და ისე დაიკარგნენ, როგორც შარშანდელი თოვლი. ამის შემდეგ ჩემმა შვილმა ყველაფერი აურია.

***– პირველად რა ჩაიდინა?***

– პირველად მეგობართან ერთად მობილური ტელეფონი მოიპარა. მე იმის საშუალება არ მქონდა, რომ ფული გადამეხადა და ციხიდან დამეხსნა, ამიტომ სასჯელის მთლიანად მოხდა დასჭირდა. ამას მოყვა სახლის გატეხვა, მაგრამ თურმე ყველაზე დიდი საშინელება წინ მელოდა. ჩემმა შვილმა ნარკოტიკის მოხმარება დაიწყო. ის მესამედ მაშინ დააკავეს, როცა მეგობრისგან გამოვიდა და წამლის კაიფში იყო. ვერც ამჯერად შევძელი მისი დახმარება. ჩემმა შვილმა მესამე სასჯელიც სრულად მოიხადა.

***– ამჯერად რაღა დააშავა?***

– სირცხვილია, მაგრამ ახლა ყველაზე უარესი რამ ჩაიდინა. ჩემს შვილს ერთი ქალბატონის გაუპატიურებაში ედება ბრალი. გაგა ამტკიცებს, რომ ის ქალი გარყვნილი და კახპაა, მაგრამ ჩვენ ამის დამტკიცება არ შეგვიძლია. იმ ქალბატონმა ექსპერტიზაზე უარი თქვა და ვერ ვამტკიცებთ იმას, რომ ჩემი შვილი არაფერ შუაშია. როგორც გაგა მეუბნება, ის ქალი გაგას დიდ ფულს სთხოვდა, თუ არადა, ემუქრებოდა, ყველაფერს ჩემს ქმარს ვეტყვი და მერე ნახე რა დღეში ჩავარდებიო.

***– რამდენს უსჯიან თქვენს შვილს?***

– 15 წელიწადს. აღარ ვიცი, ამდენს გავუძლებ თუ არა. უკვე მეოთხედ უნდა ვიწანწალო ციხის კართან და ჩემი შვილის მორჯულებაზე ვილოცო. დამიჯერეთ, ნებისმიერი დედისთვის ძალიან რთულია იმის ყურება, როგორ იღუპება მისი ერთადერთი შვილი და ხსნა კი არსად ჩანს.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

### *ყველაფერი თმის შესახებ*

ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანის თმა ბუნებრივ ბზინვარებას კარგავს და თხელდება. თმის ხარისხზე არანაკლებ გავლენას ახდენს კვება და ეკოლოგია. მავნე ფაქტორების გავლენით თმის სტრუქტურა ზიანდება და იწყება თმის ცვენა, ჩნდება ქერტლი, თმა ხდება მტვრევადი. არაპროფესიონალური მოვლა თქვენს თმას კიდევ უფრო მეტად აზიანებს. იმისათვის, რომ თქვენი თმა იდეალურად გამოიყურებოდეს, უარი თქვით ყველანაირ ექსპერიმენტზე და მისი მოვლა მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალებს მიანდეთ. ყველაზე მარტივი პროცედურებიც კი სალონში უნდა ჩატარდეს და არა სახლის პირობებში.

იმ ქალბატონებმა კი, ვინც თმას იღებავს, უნდა გაითვალისწინონ, რომ მისი შეღებვისას თმა ახალდაბანილი არ უნდა იყოს. შეღებვამდე ერთი ან ორი დღით ადრე თავის დაბანა სავსებით საკმარისია. თუ თმას მუქი ტონის საღებავით იღებავთ, მისი შეღებვა შუბლის ზონიდან უნდა დაიწყოთ, ღია ტონის საღებავი კი პირველ რიგში კეფაზე უნდა დაიტანოთ. საღებავით თმის დაფარვა სწრაფად უნდა მოხდეს – არა უმეტეს 15 წუთისა. თუკი თქვენ თმას შეღებვიდან 21 დღის განმავლობაში შეიღებავთ, საკმარისია, ასეთ დროს მხოლოდ ახლადამოსულ თმაზე გადაისვათ საღებავი, თუკი თმის შეღებვიდან 21 დღე გავა, მაშინ თმაზე საღებავი ისევ მთლიანად უნდა დაიტანოთ. თმის შეღებვის ასეთი პროცედურები თმას მაქსიმალურად იცავს დაზიანებისგან. ასეთ დროს თმის

სტრუქტურაცა და ვიზუალური ეფექტიც შეუდარებელია.



თუკი ალერგიული ხართ, აუცილებელია თმის შეღებვამდე საღებავი გააზავოთ, წაისვათ კეფაზე და 10-15 წუთით დაიტოვოთ. თუ კანი გაგიღიზიანდათ, ე.ი. ამ საღებავზე ალერგიული ხართ და შეღებვა არ შეიძლება. გავრცელებული საღებავებიდან ყველაზე უსაფრთხოა პროფესიონალური, სალონური საღებავები. მათ აქვთ სპეციალური ხაზი, რომელიც არ შეიცავს ალერგენებს. ამ ხაზის საღებავებს ორსულებსაც და ალერგიულ ადამიანებიც გამოიყენებენ.

თუ უკვე ასაკში ხართ და თმაში ჭაღარაც ბევრი გაქვთ, უმჯობესია სელისფერი საღებავი გამოიყენოთ. თუკი ასაკოვანი ქალბატონი აქტიურად ადევნებს თვალყურს მოდის სიახლეებს, მას უფრო გაბედული ქმედებებიც შეუძლია განახორციელოს – მიმართოს მელირებას ან ყველაზე მოდურ – თმაზე ხატვას. ასაკოვან ქალბატონებს თმის მოვლის სპეციალისტები არ ურჩევენ შავი, მუქი ყავისფერისა და ბორდოსფერი საღებავების გამოყენებას, რადგან ასეთ დროს ნებისმიერი კონტრასტი – ასაკი, ნაოჭები და ღარები კიდევ უფრო თვალშისაცემია.

იმისათვის, რომ ქალბატონებმა სასურველი ვარცხნილობა დააფიქსირონ, ხშირად იყენებენ მუსს, ლაქს, ლოსიონს, გელს. ამ საშუალებების მომხმარებლებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ძილის წინ ამ საშუალებების მოშორება სავალდებულოა. ამისთვის კი აუცილებელია თმის დაბანა.

რაც შეეხება ფენს, თმის გასაშრობად იგი შეძლებისდაგვარად იშვიათად უნდა გამოიყენოთ. არ არის აუცილებელი ფენი მაქსიმალურ სიმხურვალეზე ჩართოთ, თმის გასაშრობად საშუალო სიმხურვალეც საკმარისია. არ არის საჭირო ფენის თმასთან ახლოს მიტანა – 25-30 სანტიმეტრიც საკმარისია. ასეთ შემთხვევაში თმა არასოდეს დაზიანდება.

თუკი თქვენი თმა უკვე დაიზანდა და მას დახმარება სჭირდება, პირველ რიგში საჭიროა დაადგინოთ როგორი ტიპის თმა გაქვთ – ცხიმიანი, მშრალი თუ კომბინირებული. მთავარია არ დაივიწყოთ, რომ დაზიანებული თმის მკურნალობა მხოლოდ პროფესიონალმა სპეციალისტმა უნდა გირჩიოთ. ერიდეთ ყველანაირ თვითმკურნალობას, ამან შეიძლება სერიოზული პრობლემები გაგიჩინოთ.

გრძელი თმა მოგბეზრდათ და მისი შეჭრა გადაწყვიტეთ? არ დაგავიწყდეთ, რომ სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, კარგად დაფიქრდით, მართლა გინდათ ეს თუ არა, რადგან შეჭრილ თმას უკვე ველარავინ დაგიბრუნებთ. იმისათვის, რომ თქვენი თმა ჯანსაღად გამოიყურებოდეს, სასურველია თმის ბოლოები 30 დღეში ერთხელ შეიჭრათ. ასეთ შემთხვევაში თმა უფრო კარგად იზრდება.

დღესდღეობით თმის მოვლასთან დაკავშირებით ყველაზე დიდი პრობლემა თმის ცვენაა. სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ მამაკაცები უფრო ხშირად მელოტდებიან, ვიდრე ქალები, თუმცა ბოლო პერიოდში ეს პრობლემა ქალებსაც აწუხებთ. სუსტი სქესისთ

ვის თმის ცვენის მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობა და გარემოს მავნე ფაქტორთა ზემოქმედებაა. მედიკოსების მიერ დადგენილია, რომ დღეში თმის 100-მდე ღერის გაცვენა ნორმალურად ითვლება, თუმცა ამ მოსაზრებას ყველა სპეციალისტი არ ეთანხმება. იმისათვის, რომ დაადგინოთ, რამდენად საგანგაშოდ გცვივათ თმა, გთავაზობთ საკუთარ თავზე ასეთი ცდა ჩაატაროთ – დაახლოებით 15 ღერის შემცველი კულული ძლიერად მოქაჩეთ ძირების არეში. თუ ხელში თმის სამ ღერზე მეტი შეგრჩათ, ე.ი. თმის ცვენა ნამდვილად გაძლიერებული გაქვთ და აუცილებელია დროულად მიმართოთ ექიმს.

გაინტერესებთ რა იწვევს თმის ცვენას? ეს ზოგჯერ ამა თუ იმ ჰორმონული პრეპარატის მოხსნის შედეგია. თმის ცვენა ეწყებათ ქალებს აბორტის შემდეგ, რომელიც მაქსიმუმ 2 თვეში წყდება. არსებობს ანდროგენული ტიპის თმის ცვენაც. ის მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა და გამელოტების ყველაზე მძიმე ფორმაა. ანდროგენული ტიპის თმის ცვენას ხელს უწყობს მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობაც. ასეთ შემთხვევაში ხალხური მეთოდებიც კი უძლურია.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თმის ცვენა ხშირად პირდაპირ კავშირშია დიეტასთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცხიმოვანი ქსოვილი, რომელსაც დიეტის დროს ასე ინტენსიურად ებრძვიან, ჰორმონული ფუნქციის მქონე ორგანოა. ყველა ქალბატონს, ვისაც დიეტის დაცვა სურს, არ უნდა დაავიწყდეს, რომ დიეტებით სასურველ შედეგს შეიძლება ვერ მიაღწიოს, სამაგიეროდ, თმის ცვენის გაძლიერებას, ფრჩხილების განშრევებასა და მტვრევას აუცილებლად დაიმსახურებთ.

იმისათვის, რომ თქვენი თმა ჯანსაღად გამოიყურებოდეს, სხვადასხვა ვიტამინები,

მინერალური ნივთიერებები და მიკროელემენტები აუცილებელია. თუ თქვენ თამბაქოს ეწევით, ან სისტემატურად მოიხმართ ალკოჰოლურ სასმელებს, თმის ცვენა გარანტირებული გაქვთ.

თმის ცვენა ძლიერდება მშობიარობის შემდგომ პერიოდშიც. ორსულობისას თმა ინტენსიურად იზრდება და ხშირდება. ამ დროს პლაცენტა დამატებით გამოყოფს ესტროგენებს – ქალის სასქესო ჰორმონებს. ეს უკანასკნელი თმის ზრდისა და სიცოცხლის ციკლს ახანგრძლივებს. 9 თვის შემდეგ კი ეს ყველაფერი მთავრდება და მეძუძური დედა პრობლემის წინაშე დგება. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მშობიარობიდან 7-8 თვის განმავლობაში გაძლიერებული თმის ცვენა ფიზიოლოგიურია.

მთავარია, ის ქრონიკულ პროცესში არ გადაიზარდოს. ამისთვის კი სათანადო ჰიგიენა და კვებაა აუცილებელი. თუ ორ თვეში თმის ცვენა არ შენელდა, თქვენი პრობლემა უკვე საგანგაშოა.

აი კითხვები, რომლებსაც ქალბატონები თმასთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად სვამენ:

შეკითხვა №1. თმას მუდმივად ვიუფერულებ. გამაუფერულებელმა საშუალებებმა ღერები გამოაშრო, გაახუნა და ისე გააუხეშა, რომ ველარც კი ვივარცხნი. როგორ მოვიქცე?

